მესაკუთრე

№13

ფასი 50 თეთრი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათს და პარასკევს | 21-24 დეკემბერი | 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კანონპროექტი სახელმწიფო კანცელარიაში გაიგზავნა

18 დეკემბერს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც სორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს უფროსი მერაბ გაბუნია უძღვებოდა.

მისი განცხადებით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიაზე განიხილეს "საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის პროექტი. აღნიშნული კანონპროექტი გაგზავნილი იყო სამინისტროებსა და უწყებებში, რომლებში განხილვის შემდგომ ქონების მართვის სამინისტროში წარმოდგენილი იყო შენიშვნები. კანონპროექტი შედგება სამი კარისა და ათი მუხლისაგან, რომლებშიც განმარტებულია პრივატიზების ცნება, ჩამოთვლილია ობიექტები რომელთაც არ ეხებათ პრივატიზება, მოყვანილია პრივატიზების ფორმები და წესი, კანონპროექტი შეიცავს აგრეთვე პრივატიზების პროგრამას. როგორც კოლეგიის სხდომაზე აღნიშნა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა ავთანდილ სილაგაძემ, კანონპროექტის მთავარი სიახლეა ის, რომ პრივატიზება მიმდინარეობდა ათეული დოკუმენტის მოშველიებით, რომელთა შორის წინააღმდეგობებიც კი იყო, ხოლო ახალი კანონი კომპლექსური დოკუმენტი იქნება. კანონპროექტი გაეგზავნა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას.

სამინისტროს საინფორმაციო-საორგანიზაციო სამმართველო მუშაობს პრივატიზებულ ობიექტებთან მუშაობის ცენტრის შექმნის საკითხზე. მსგავსი ცენტრის ჩამოყალიბება გათვალისწინებულია TACIS III პროგრამით. ქონების მართვის სამინისტრო იხელმძღვანელებს ყოფილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილებით, ხოლო იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც სამინისტროს დაუგროვდა სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე პრივატიზებული ობიექტების ჩამოყალიბების პროცესში, რომლის უშუალო მონაწილეც თავად იყო, მიზანშეწონილი იქნება შეიქმნას პრივატიზებულ ობიექტებთან მუშაობის ცენტრი, ამ ობიექტების შემდგომი ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. სამინისტროს მიერ მომზადებული საკითხი ცენტრის შექმნის შესახებ წარდგენილი იქნება განსახილველად სამთავრობო სხდომაზე 1997 წლის პირველ კვარტალში.

ქონების მართვის მინისტრის 1996 წლის 1 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად სამინისტროებსა და უწყებებზე გადასაცემად

(დასასრული მე-2 გვ.)

ნომერშია:

«რასაცა გასცემ შენია...» გვ.4

ვის რა დაუჯდა განქორწინება გვ.5

შიმშილით სიკვდილი არ გვემუქრება გვ.6

მაკდონალდსის ფირმის პოლიტიკა გვ.7

ბულგარეთის ნაკრები პრიზისს განიცდის გვ.8

ნომერშია:

მეწარმეებს მაქინაციებისკენ არ უნდა ვუბიძგოთ

ზურაბ ქიტიაშვილი - დაიბადა 1958 წელს, დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, წლების განმავლობაში მუშაობდა საავიაციო ქარხანაში, იყო ს/კ "შევარდენი-1906"-ის პრეზიდენტი.

ამჟამად სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის სექტორული ეკონომიკის განყოფილების სახელმწიფო მრჩეველია.

- ბატონო ზურაბ, სააქციო საზოგადოება "მაუდი" (ყოფილი მაუდ-კამვოლის კომბინატი "საქართველო") საქართველოს მსუბუქ მრეწველობაში ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო, ამჟამად რა მდგომარეობაში იმყოფება იგი?

- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ბევრს გაუჩნდა მოსაზრება, რომ ეფექტური და მომგებიანი მუშაობა მხოლოდ მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ. საქართველოს პირობებში ეს გარკვეულწილად მართალია, მაგრამ ჩვენთან უკვე არსებულ მსხვილ საწარმოებს ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნიათ. კადრებით, საწარმო, დამხმარე ფართებით თუ ტექნოლოგიური აღჭურვილობით და სხვა. ამის დაკარგვა არ შეიძლება და უნდა გამოინახოს საშუალება ისინი მაქსიმალურად გამოვიყენოთ. როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩვენი და არა მარტო ჩვენი საწარმოები ჩართულნი იყვნენ განაწილების ცენტრალიზებული პრინციპის სისტემაში,

(გაგრძელება მე-2 გვ.)

სააქციო საზოგადოება "თბილთამბაქოს" აქციონერთა საყურადღებოდ:

გაცნობებთ, რომ 1997 წლის 10 იანვარს 11 საათზე ს/ს "თბილთამბაქოს" წარმოების შენობაში (წინამძღვრიშვილის ქ. №125) ტარდება სააქციო საზოგადოება "თბილთამბაქოს" აქციონერთა კრება დღის წესრიგით:

"სააქციო საზოგადოების მეთვალყურეთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

გთხოვთ დაესწროთ.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო

დაფუძნებულია 1030 სააქციო საზოგადოება

1996 წლის ნოემბრის თვეში სამინისტროში მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების უზრუნველყოფისათვის გარკვეული სამუშაოები. დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზების მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე სააქციო საზოგადოებების აქციები, რომლებიც დარჩენილი იყო სახელმწიფო საკუთრებაში, საპრივატიზებოდ იქნა გამოტანილი სპეციალიზებულ აუქციონებზე. სამინისტროს 1 ნოემბრის №1-3/757 ბრძანებით დამტკიცდა სპეციალიზებული აუქციონების ჩატარების გრაფიკი. უკვე შედგა სამი სპეციალიზებული აუქციონი, მათზე საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნა 62 სააქციონერო საზოგადოების 4645462 ცალი აქცია 9229003.2 აშშ დოლარის ღირებულებით. ამჟამად მიმდინარეობდა მე-4 სპეციალიზებული აუქციონი, რომელიც დაიწყო 25 ნოემბერს და დასრულდა 10 დეკემბერს, მასზე გამოტანილია 40 სააქციონერო საზოგადოების 3992139 ცალი აქცია 6081579.9 აშშ დოლარის ღირებულებით. დამტკიცებულია მე-5 და მე-6 სპეციალიზებულ აუქციონებზე გასატან საწარმოთა ნუსხა. უკვე დამტკიცდა პირველი აუქციონის შედეგები: საპრივატიზებოდ გამოტანილი 253704 აქციიდან პრივატიზებულ იქნა 169984 ცალი აქცია.

1996 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით დაფუძნებულია 1030 სააქციო საზოგადოება, მათგან: მრეწველობის 167, სოფლის მეურნეობისა და სურსათის - 27, გაზის - 20, ვაჭრობის - 62, ტრანსპორტის - 96, საქონერგოს - 25 და ა.შ.

1996 წლის 2 დეკემბრის მდგომარეობით საპრივატიზებოდ დამტკიცებული 9307 ობიექტიდან პრივატიზებულია 8617 "მცირე" ობიექტი, მათგან ვაჭრობის - 3618, მრეწველობის - 201, სოფლის მეურნეობისა და სურსათის - 234, ჯანდაცვის - 450, პურპროდუქტების - 82 და ა.შ.

21 სააქციო საზოგადოებას დაუდასტურდა საკუთრების უფლება გამოსყიდულ საკონტროლო პაკეტზე. გამოცხადებული იყო 15 კონკურსი ობიექტის იჯარით გამოსყიდვის უფლებაზე.

სამინისტროში იმყოფებოდა უკრაინის სამთავრობო დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა უკრაინის სახელმწიფო ქონების ფონდის თავმჯდომარე იური ეხანუროვი. დაიგეგმა სპეციალისტთა და დელეგაციების გაცვლის შემდგომი ღონისძიებები. მხარეებმა განიხილეს საქართველოს და უკრაინის "საკუთრების ურთიერთცნობისა და საკუთრებითი ურთიერთობის რეგულირების" ხელშეკრულება, რომელსაც სამთავრობო დონეზე ხელი მოეწერა 5 ნოემბერს.

(დასასრული მე-3 გვ.)

ახალი კანონპროექტი სახელმწიფო კანცელარიაში გაიგზავნა

(დასასრული)

მომზადდა სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტები. მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროზე გადასაცემად 36 ს/ს-უბის, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსათვის 14 ს/ს-უბის, ეკონომიკის სამინისტროსათვის 13 ს/ს-უბის. ფასიანი ქაღალდებისა და საინვესტიციო ფონდების სამმართველო ამზადებს აქციათა პაკეტებს ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროებისათვისაც. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამინისტროები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ს/ს-უბების აქციათა პაკეტების მართვის უფლების მათზე გადაცემას, დღეს ვერ ახერხებენ წარმომადგენლების გამოგზავნას ქონების მართვის სამინისტროში, რათა მათზე გაფორმდეს უკვე მომზადებული ოფიციალური დოკუმენტაცია.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 30 აპრილის № 299 ბრძანებულების ს/ს-უბების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის, განკარგვისა და აღრიცხვის წესის შესახებ" და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 22 აგვისტოს № 1-3/512 ბრძანების "ს/ს-უბებში რწმუნებული პირის შესახებ". თანახმად სააქციო საზოგადოებების ხელახალი რეგისტრაციის პროცესის რეგულირების და კოტროლის მიზნით ს/ს-უბების კრებებში - მონაწილეობის რწმუნება მიეცა სამინისტროს იმ საქალაქო და რაიონული ორგანოების ხელმძღვანელებს (ან მათ მიერ დანიშნულ პირებს), რომელთა მიერაც იქნა დაფუძნებული სააქციო საზოგადოებები სახელმწიფო ორგანიზაციების ბაზაზე. მთლიანად რესპუბლიკაში ჩამოყალიბებულ 1027 სააქციო საზოგადოებებში ადგილობრივ მმართველობით ორგანოებსა და შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან შეთანხმებით უკვე არჩეულია 965 წარმომადგენელი, მათ შორის სამინისტროს რეკომენდაციით 30 რწმუნებული პირი.

სამინისტროს იურიდიული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველომ შეისწავლა ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის საიჯარო უთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებულ საბანკო დოკუმენტაციის სრულფასოვნება. აღნიშნული ბაზრის საიჯარო ურთიერთობებზე გადასვლის კანონიერებას სწავლობს რესპუბლიკის პროკურატურა, რომელმაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დახმარება სთხოვა ქონების მართვის სამინისტროს. სამინისტროს მიერ შესწავლილი მასალების შესახებ წერილი გაეგზავნება რესპუბლიკის პროკურატურას.

ჭ. თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლომ დააკმაყოფილა მოქალაქე ყავაძეების სარჩელი. დავა წარმოებდა ყავაძეებსა და ს/ს "ტრაქტების" (ავტოსაწარმო) შრომითი კოლექტივს შორის, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელები გახდნენ ყავაძეები. ქონების მართვის სამინისტრო აღნიშნულ დავაში მონაწილეობდა როგორც მესამე პირი. პრესკონფერენციას ესწრებოდა სამინისტროს იურისტი ზურაბ ნონიაშვილი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა მოსამართლეების მოუმზადებლობაზე და გულისტკივილი გამოთქვა აღნიშნული ფაქტის გამო.

მომზადდა სარჩელი ქუთაისის სადრენაჟო ქარხანასა და მცირე საწარმო "წიწვებს" შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების კანონიერების თაობაზე. სამინისტროს მიაჩნია, რომ ეს ხელშეკრულება გაფორმებულია მაშინდელი კანონმდებლობის დარღვევით და ექვემდებარება გაუქმებას სასამართლო წესით.

ქონების მართვის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება ჯანდაცვის სისტემის პრივატიზების II ეტაპზე საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ. ბრძანება ხელმოწერილია სამინისტროში და გადაგზავნილია იუსტიციის სამინისტროში სარეგისტრაციოდ.

ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის №8 და №10 ნავმისადგომებზე მარცვლეულის ტერმინალის აღსადგენად და ესპლუატაციაში გადასაცემად ჩატარდება ტენდერი. მიმდინარეობს ტენდერის პროექტის განხილვა ევრობანკის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ქონების მართვის სამინისტროს დარგების სამმართველომ მოამზადა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი სააქციო საზოგადოება "თემქა პურის" ბალანსზე რიცხული მშენებარე ღვთისმშობლის ეკლესიის საქართველოს საპატრიარქოზე გადაცემის შესახებ. ბრძანებულებაში გათვალისწინებულია, რომ ს/ს კისრულობს ვალდებულებას ეკლესიის მშენებლობის დამთავრებაზე.

ა/წ 16 დეკემბრიდან დაიწყო და 1997 წლის 6 იანვრამდე გრძელდება №6 სპეციალიზებული აუქციონი, აუქციონზე გამოტანილია 37 ს/ს-ის 10065829 აქცია.

დამტკიცდა №7 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხა.

სამინისტროს შეკვეთით დაისტამბა წიგნი "საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები".

მსგავსი პრესკონფერენციები სამინისტროში ყოველკვირეულად იმართება და რაოდენ სამწუხაროა, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები (მაგალითისთვის ბატონი ზურაბიც გამოდგება) უამრავ ძალას და ენერგიას ხარჯავენ ისეთი პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც საერთოდ არ უნდა წარმოქმნილიყო.

ალბათ უკვე დადგა იმის დრო, რომ სახელმწიფომ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე იზრუნოს და მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს იქნება მოსამართლე, ექიმი, მასწავლებელი თუ მარკშეიდერი.

მეწარმეებს მაქინაციებისკენ არ უნდა ვუბიძგოთ

(გაგრძელება)

როდესაც ერთ ასეთ საწარმოს რამდენიმე ათასი მიმწოდებელი ჰყავდა. დღეისათვის ეს პრინციპები მოშლილია და მისი აღდგენის რეალობა არ არსებობს. მაუდის კომბინატსაც ნედლეული მიეწოდებოდა ცენტრალიზებულად (ნაზი, ნახევრად ნაზი მატყლი). ცენტრალიზებულადვე ხდებოდა მატყლის დამუშავება, რეცხვა და შემდეგ მიეწოდებოდა მაუდს, რომლის პროდუქციაც ეძლეოდა სამკერვალო საწარმოებს და ა.შ. ე.ი. "მაუდი" იყო ნედლეულის გამომყენებელ-მიმწოდებელი საწარმო. დღევანდელი მოთხოვნებით კი კომბინატი უნდა გადაიქცეს ისეთ საწარმოდ, რომელსაც საშუალება ექნება გამოიყენოს ადგილობრივი ნედლეული (რაც თავისთავად დაკავშირებულია მეცხოველეობის - კერძოდ მეცხვარეობის განვითარებასთან) და გამოუშვას საბოლოო, უკვე შეკერილი პროდუქცია, რომლის ბაზრის მონახვაც გაცილებით ადვილია. მაუდის ასეთ საწარმოდ გადასაქცევად კი საჭიროა დღეს მოდაში შემოსული სიტყვა რომ ვიხმაროთ, მისი სრული რესტრუქტურიზაცია, რომლის პროგრამის დამუშავებაც მიმდინარეობს.

- დღეს ბაზარზე სამამულო წარმოების საქონელი სიძვირისა და უხარისხობის გამო შევიწროებულია. გამოსავალს რაში ხედავთ?

- ჩვენმა ქვეყანამ სულ ახლახანს დაიწყო იმ უფსკრულიდან ამოსვლა, რომელშიც ბოლო წლებში ვიძირებოდით. ქვეყნის ბაზარზე დამკვიდრება ჭირს. ამ მიმართულებით მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა, საჭიროა, ჩვენი მეწარმეები, რომლებსაც დღეს ურთულეს პირობებში უწევთ მუშაობა, დაცული იყვნენ შიდა ბაზარზე მაინც. მაუდის დარგის საწარმოებისათვის თუნდაც შიდა ბაზარზე შედწევა იმ არასაბოლოო სახის პროდუქციით, რომელსაც ისინი უშვებენ, ძნელია. საჭიროა პროდუქციამ მიიღოს საბოლოო სახე და, რა თქმა უნდა, ამაღლდეს ხარისხი. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს უნდა შეეძლოთ ინოვაციური პროცესები, შეეძლოთ პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლა. როგორც უკვე მოგახსენეთ, მაუდში ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა.

- კონკრეტულად?

- მაუდს შეუძლია გამოუშვას მშვენიერი პროდუქცია. მისი საპალტოვე, საკოსტუმე, საკაბე ქსოვილები, გინდაც პლედები ადგილობრივი ნედლეულით იქსოვება და უნდა ითქვას, რომ არცთუ ურიგოდ. შეიცვალა ფაქტურა, გადახალისდა ფერები და ვერც წარმოიდგენთ, რომ ჩვენთან გამოშვებული პროდუქციაა, თუმცა საერთაშორისო დონემდე ჯერ შორსაა. მაუდის წარმოების აუცილებლობა ქვეყნისათვის მარტო იმიტომაცაა ნაკარნახევი, რომ მას შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს ქვეყნის თავდაცვის შ.ს.ს. და სხვა ბიუჯეტური ორგანიზაციების შეკვეთები.

- უცხოელებთან თუ არის კონტაქტები?

- რა თქმა უნდა. დღეს ვინც ეძებს, პოულობს კიდეც.

- ამდენის გაკეთების საშუალება თუ იყო, რატომ არის, რომ კომბინატი თითქმის ბოლომდე გაკოტრდა და მისი "გადარჩენის" საპრეზიდენტო პროგრამაც კი შეიქმნა.

- პრინციპი - კადრები წყვეტენ ყველაფერს, დღესაც ძალაშია. ჩვენ დავივიწყეთ, თორემ კადრების გადამწყვეტ როლს დღესაც ბევრი სახელმწიფო ფიზიარებს. რაც მაუდში დღეს ხდება, მე ყველაფერს ხელმძღვანელებს მივაწერ. ხალხი ეძებს და პოულობს საშუალებას, რომ წარმოებამ იმუშაოს. საჭიროა მხოლოდ ხელი შევუწყოთ. "მაუდში" ამჟამად 1350 კაცამდე მუშაობს და ახალი ხელმძღვანელის ბატონ ომარ თეთრაშვილის მონდომებითა და ძალისხმევით ჯერჯერობით "არსებობენ". ვფიქრობთ, რომ მომავალშიც უნდა "იცოცხლონ".

- ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ რაც უნდა მაღალი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა (ნებისმიერ სფეროში), რეკლამის გარეშე ყველა საქმე განწირულია.

- სწორი შენიშვნაა. დისტრიბუტერული ქსელისა და სარეკლამო საქმიანობის გარეშე დღეს ვერც ერთი წარმოება ვერ იარსებებს. ამ მხრივ "მაუდში" უკვე გადაიდგა ნაბიჯები. ჩვენს უახლოეს მეზობელ ქვეყნებში უკვე შეიქმნა დისტრიბუტერული სამსახური, რომლის გაფართოებაზეც მიმდინარეობს მუშაობა.

- როგორც ცნობილია, "მაუდს" ძალიან დიდი დავალიანება აქვს. საწარმოს ახლანდელ ხელმძღვანელობას დიდი ვალები დახვდა. მათ მაინც მოახერხეს გარკვეული საბრუნავი საშუალებების შექმნა, მაგრამ არის საშიშროება, რომ ეს თანხები მთლიანად ვალების დაფარვას მოხმარდება.

- ვალების დაფარვის მექანიზმი უკვე თითქმის შემუშავებულია. კიდევ ვიმეორებ - ამ დიდი საწარმოს ბაზაზე, რომელსაც მძიმე ტვირთად აწევს გამოუყენებელი საწარმოო ფართი და დამხმარე სათავსოები, მაქსიმალურად გაზრდილი აქვს არამწარმოებლური ხარჯები და ეს ყველაფერი პროდუქციის თვითღირებულებაზე მოქმედებს, ძნელია ილაპარაკო წარმოების პერსპექტივებზე. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სააქციო საზოგადოების ბაზაზე შეიქმნას ცალკე იურიდიული საწარმოები - დაწყებული ძირითადი წარმოებიდან და დამთავრებული დიზაინის სამსახურით. ამისათვის მზადდება საწარმოს რესტრუქტურიზაციის პროგრამა.

- უახლოეს მომავალში თუა დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება?

- როგორც მოგახსენეთ, თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს სომეხმა "ბალოვნებმა". სომხეთის ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენლებს სურვილი აქვთ შეხვდნენ საწარმოს ხელმძღვანელებს. ასეთი კონტაქტები აზერბაიჯანელებთან უკვე იყო.

მე მაინც ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი. როგორი დიდი მოცულობის გასაღების ბაზარიც უნდა მოძებნოთ, საწარმოს მაქსიმალურად (დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე) დატვირთვის გარეშე დანაკარგები მაინც მნიშვნელოვანი იქნება. აუცილებელია მოხდეს კოოპერირება. ეკონომიკური ეფექტიანობა მაშინ იქნება მიღწეული, თუ სამუშაო ციკლი მატყლის რეცხვიდან დაიწყება და ტანსაცმლის შეკერვით დასრულდება.

- მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მატყლის სარეცხი დანადგარი "მაუდს" არა აქვს. მისი შეძენა კი ძალიან დიდ თავისუფალ სახსრებს მოითხოვს.

- მატყლის სარეცხი დანადგარი აქვს შულავერის მატყლის გადამამუშავებელ ფაბრიკას და ტრანსპორტირების ხარჯები შემცირდება, თუ მას მოვიტანთ და "მაუდში" დავდგამთ.

- ამაზე ზომ შულავერის ხელმძღვანელობა თუნდაც იმიტომ არ დათანხმდება, რომ ეს გამოიწვევს საწარმოს ფაქტიურ გაჩერებას და სამუშაო ადგილების გაუქმებას.

- ეს პრობლემა შეიქმნება, მაგრამ არის მეორე მომენტი. შულავერის ფაბრიკა, ვთქვათ, მუშაობს 10%-ის დატვირთვით. დანახარჯები გაცილებით მეტია, "მაუდიც" დიდი დანახარჯებით მუშაობს ასეთივე მცირე დატვირთვის პირობებში. სარეცხი რომ "მაუდში" დავდგათ, ეს საწარმო შეიძლება 30-40%-ით დაიტვირთოს და ეკონომიკური ეფექტიც დიდი იქნება. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები კი ეკონომიკურ ეფექტიანობაზეა დაფუძნებული.

- თქვენი სამსახური კონკრეტულად რა მუშაობას წარმართავს ამ კუთხით.

- ჩვენ გვინდა ამ ერთგვარი ექსპერიმენტის სახით ყველას დავუმტკიცოთ, რომ კოოპერირების გზით შესაძლებელია საწარმო-გიგანტების კრიზისიდან გამოყვანა.

მეტსაც გეტყვით. ს.ს. "მაუდს" აქვს დიდი მოცულობის სათავსოები. იქ შეიძლება თუნდაც მსუბუქი მრეწველობის პროდუქციისათვის შეიქმნას საწყობები. მარტივად რომ ვთქვათ, დავუშვათ, მეწარმემ შემოიტანა 100 ტონა მატყლი. დაიწყობს ამას საწყობში, იქ იჯდება მებაჟეც და თუ მივა და ეს მეწარმე იქიდან გამოიტანს 2 ტონას, გადაიხდის ამ ორი ტონის საბაჟო გადასახადს. ამ საწარმოში მსგავსი ფუნქციების თავმოყრა გამოადგება "მაუდსაც" და სხვა ყველა დანარჩენ მსუბუქი მრეწველობის ორგანიზაციებსაც.

- სადავო არ არის, რომ საკანონმდებლო ბაზა საქართველოში მოწესრიგებას მოითხოვს. კონკრეტულად თუ გაქვთ შენიშვნები მსუბუქ მრეწველობასთან მიმართებაში?

- დღეს საქართველოში საგადასახადო და საბაჟო კანონები დარ-

(დასასრული მე-3 გვ.)

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

მიღებულია გადაწყვეტილება

№5 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხაში ცვლილებების დამტკიცების შესახებ

სააქციო საზოგადოება "ანძა"-ს (№736) საწესდებო კაპიტალის ცვლილებისა და "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად ხელახალ რეგისტრაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის ბატონ ავთანდილ სილაგაძის 1996 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით შეტანილი იქნა ცვლილება №5 სპეციალიზებული აუქციონის ნუსხაში. კერძოდ:

"1.1. ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოება "ანძა"-ს (№736) გამოშვებული აქციების რაოდენობა ნაცვლად 1,46 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების 986 046 ცალი აქციისა შეადგენს 1 აშშ დოლარის ექვივალენტური ნომინალური ღირებულების 1215009 ცალ აქციას, აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა ნაცვლად №5 სპეციალიზირებული აუქციონის ნუსხაში მითითებული 424 757-სა უნდა იყოს 620990, შესაბამისად % საწესდებო კაპიტალთან ნაცვლად 43,077-სა უნდა იყოს 51,11, ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში ნაცვლად 620 989,77-სა უნდა იყოს 620 990, ხოლო საწყისი გასაყიდი ფასი აშშ დოლარებში ნაცვლად 891 980,7-სა უნდა იყოს 931 485".

საორგანიზაციო-საინფორმაციო სამმართველოს (ბ-ნი მ. გაბუნია) დაევალა 1996 წლის 20 დეკემბრამდე უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის გაზეთ "მესაკუთრე"-ში გამოქვეყნება.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალა მინისტრის პირველ მოადგილეს ბატონ ემირ ჯუღელს.

განცხადება

სახელმწიფო ქონების მართვის მარნეულის რაიონული განყოფილება 1997 წლის 10 იანვარს 12 საათზე მარნეულის რაიონული საკრებულოს გამგეობის სააქტო დარბაზში ატარებს აუქციონს.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება მარნეულის სახელმწიფო მეურნეობის ბალანსზე რიცხული ბალახის ფქვილის შესანახი საწყობის შენობა. აშენებულია 1987 წელს, ცალპირი ბლოკით ნაგები, ცემენტის იატაკით, ბეტონის სახურავით. მისი ფართია 106 კვ.მეტრი. საწყისი გასაყიდი ფასი - 3180 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება წყდება 24 საათით ადრე აუქციონის დაწყებამდე.

მსურველებმა დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო ქონების მართვის მარნეულის განყოფილებას.

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №71; ტელ.: 2-12-54.

მეწარმეებს მაქინაციებისკენ არ უნდა ვუბიძგოთ

(დასასრული)

ეგულირებას მოითხოვს. ახლა ყველა შეღავათებზე საუბრობს და ეს თემა უკვე გაიცვითა, მაგრამ ჩემი აზრით, საჭიროა შემოტანილ ნედლეულზე გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება. ახლა საერთო გადასახადი 35%-ზე მეტია.

მეწარმე არ უნდა ეცადოს, რომ კანონის გვერდის ავლით იმოქმედოს.. მაგალითად, სომხეთში შეტანილი ნედლეული არ იბეგრება, ამიტომ ის აფორმებს ტრანზიტს, თითქოს ნედლეული იქ მიაქვს, სინამდვილეში კი აქვე მოიხმარს და ამით ბიუჯეტს უფრო მეტი აკლდება. რუსეთმა სტრატეგიულ ნედლეულზე - ბამბაზე, შალზე საბაჟო გადასახადები საერთოდ მოხსნა.

ჩვენ რაღაც პერიოდით უნდა მივცეთ ამ დარგში დაკავებულ მეწარმეებს ამოსუნთქვის საშუალება. ახლა ლაპარაკობენ, რომ შეღავათების შემოღებით ბიუჯეტი თანხებს კარგავს. კი მაგრამ, საერთოდ რომ არაფერი შემოიტანონ და ადგილობრივი წარმოებაც გაჩერდეს, ბიუჯეტის დანაკარგები 100-ჯერ მეტი არ იქნება?

- სააქციო საზოგადოებაში აქციათა პაკეტები როგორ ნაწილდება?

- დაახლოებით 7 პროცენტამდე გამოსყიდული აქვთ მუშა-მოსამსახურეებს. დანარჩენი კი სახელმწიფოს ხელშია. ისინი ითხოვენ, რომ მათ აქციების 51% გადაეცეთ, რაც იმის მაუწყებელია, რომ ისინი ხედავენ საწარმოს პერსპექტიულობას.

- კი მაგრამ, თუ ისინი იმას ბჭდებიან, რომ "მაუდს" პერსპექტივა აქვს, რატომ ითხოვენ აქციების უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემას? საზღვარგარეთ ხალხი პერსპექტიული საწარმოს აქციების შესაძენად ათასობით დოლარის ვალს იღებს.

- ჩვენ ამ ხალხის მატერიალური შემოსავლებიც უნდა გავითვალისწინოთ.

- ამით სახელმწიფო ქონების გაჩუქების პრეცენდენტს ხომ არ დავუშვებთ? ძალიან საკამათო საკითხია.

- ეს, ალბათ, ხელისუფლების გადასაწყვეტი იქნება.

ესაუბრა

. გიორგი გაბრიაძე

(დასასრული)

გაიმართა სემინარი, რომელიც ჩაატარა გერმანელმა იურისტმა ჰარტმუტ ფრომმა, რომელიც "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი ავტორია. სემინარის ძირითად თემას წარმოადგენდა კანონის ზოგიერთი მუხლის განხილვა.

1996 წლის 21 ნოემბრის №1-3/829 ბრძანებით ცვლილებები იქნა შეტანილი 1996 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში.

დამტკიცდა №1-3/847, 27.11.96წ. ბრძანება "საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ იჯარაგამოსყიდვის ფორმით პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსული თანხების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გადარიცხვის მოწესრიგების შესახებ".

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის №642 ბრძანებულების "ფოთის საზღვაო ნავსადგურში საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის ინვესტირების შესახებ" შესაბამისად. კერძოდ, აშშ კორპორაცია "სი-ლენდ სერვისის" ინიციატივით საქართველოში იწყება საკონტეინერო ტერმინალების ქსელისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურში ახალი საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობა. გათვალისწინებულია ფოთის საზღვაო ნავსადგურში პირსის იჯარით გაცემა დადგენილი წესით იმის გათვალისწინებით, რომ განსახორციელებელი ინვესტიციების შედეგად შექმნილი ქონება საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ რჩება სახელმწიფო ქონებად.

დამტკიცდა ბრძანება №1-3/816, 19.11.96 წ. "ქ. თბილისში განლაგებული სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის პროცესის უზრუნველყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ". ამ ბრძანებით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტზე დელეგირებულ იქნა სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების იჯარით (გამოსყიდვის უფლების გარეშე), ოპერატიული მართვისა და სამეურნეო გამგებლობის უფლებით გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამასთან, შეიქმნა კომისია სამინისტროსა და ქ. თბილისის დეპარტამენტის თანამშრომელთა შემადგენლობით, რომელსაც დაეკალა თბილისში განლაგებული სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების სრული აღწერა და მისი შემდგომი განკარგვის შესახებ წინადადებების წარმოდგენა. კომისიის მუშაობის დამთავრების ვადა განისაზღვრა 1997 წლის 1 აპრილამდე.

უძრავი ქონების არასაცხოვრებელი ფართის ოპერატიულ მართვაში გადაცემაზე სამინისტროს მიღებული აქვს 3 გადაწყვეტილება, სამეურნეო გამგებლობაში გადაცემაზე - 5 გადაწყვეტილება, ხოლო იჯარით (გამოსყიდვის უფლებით) გაცემაზე - 11 გადაწყვეტილება.

უძრავი ქონების მართვის პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის სამინისტროს მიერ სათანადო ინფორმაციის მოსაპოვებლად შემუშავებულ იქნა სპეციალური ფორმები, რომლებიც დაეგზავნა ყველა რაიონის (ქალაქის) გამგეობას და ცენტრალური მმართველობის ყველა ორგანოს, რათა დაზუსტდეს, რა ოდენობისა და ღირებულების უძრავ ქონებას ფლობს დღეისათვის სახელმწიფო.

ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა სააქციო საზოგადოებათა საწესდებო კაპიტალში არსებულ სოციალურ-კულტურული დაჯ საყოფაცხოვრებო ობიექტების მართვის მოსაწესრიგებლად. კერძოდ, ყველა სააქციონერო საზოგადოებას, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნული სახის ობიექტები, დაეგზავნათ წერილობითი გაფრთხილება, წარმოადგინონ წინადადებანი ამ ობიექტთა სამეურნეო გამგებლობაში ან იჯარით (მათ შორის გამოსყიდვის უფლებით) აღების შესახებ. წინაადმდეგ შემთხვევაში, სამინისტროს მიერ აღნიშნული ობიექტების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ცალმხრივად. დღეისათვის სამინისტროში რეგულარულად შემოდის სააქციონერო საზოგადოებათა სათანადო წერილები აღნიშნულის შესახებ, რომელთაგან ექვსზე უკვე მომზადებულია სათანადო დოკუმენტაცია და მზადდება სამინისტროს შესაბამისი ბრძანებები.

დაფუძნებულია 1030 სააქციო საზოგადოება

დამტკიცდა ბრძანება №1-3/840, 26.11.96 წ. "საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის №713 ბრძანებულების "საქართველოს ეკონომიკის 1996 წლის ცხრა თვეში ფუნქციონირების, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ძირითადი შედეგებისა და უახლესი ამოცანების შესახებ" შესრულების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ".

დამტკიცდა ბრძანება №1-3/841, 26.11.96 წ. "საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 3 ნოემბრის №706 ბრძანებულებითა და სახელმწიფო კანცელარიის №318/100, 31.10.96 წ. დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტის 30 აპრილის №299 ბრძანებულების შესაბამისად სამინისტროს 1 ნოემბრის №1-3/760 ბრძანებით დამტკიცდა "საქართველოს საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქციათა მართვის, განკარგვის და აღრიცხვის წესი". ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სააქციონერო საზოგადოებათა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების დარგობრივ სამინისტროებზე სამართავად გადასაცემად.

1996 წლის 13 ნოემბრის №1-3/797 ბრძანებით ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების მონაწილეობით შეიქმნა სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების (ტრესტების, სამმართველოების) რეორგანიზების კომისია. კომისიის სხდომაზე უკვე განხილულ იქნა 2 საწარმოს რეორგანიზების საკითხი.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს №499 ბრძანებულების შესაბამისად მომზადებულია და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შესათანხმებლად წარედგინა დებულება "სახელმწიფო ქონებით შექმნილი საწარმოების ბალანსზე რიცხული ამორტიზაციული — ნ. ამოღებენებელი ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის შესახებ".

მომზადდა და განიხილება კანონპროექტები "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ" და "სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა", "სახელმწიფო საკუთრების ობიექტების საერთოსახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალური საკუთრების უფლებად გამიჯვნის შესახებ".

"მეწარმეთა შესახებ" კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიმდინარეობს საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში არსებულ სააქციონერო საზოგადოებებში ჩატარებული კრებებისა და მეთვალყურეთა საბჭოს არჩევის კანონიერების შემოწმება.

მომზადდა და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასა და იუსტიციის სამინისტროს გაეგზავნა შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კანონში "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის სამთავრობო დელეგაციასთან მოლაპარაკებაში, რუსეთის ჯარების განსათავსებლად და ფუნქციონირებისათვის ქონების გადაცემის წესის თაობაზე.

დაფუძნდა და რეგისტრაცია გაიარა გაზეთმა "მესაკუთრემ", რომელიც გაზეთ "პრივატიზებაზ მაცნეს" სამართალმემკვიდრეა. უკვე გამოვიდა გაზეთის 12 ნომერი. გაზეთი გამოდის რეგულარულად კვირაში ორჯერ, ოთხშაბათსა და პარასკევს.

სამინისტროს მონაწილეობით დაფუძნებულმა სატელევიზიო სტუდია "4"-მა მოამზადა და ტელევიზიის I არხით გადაიცემა სპეციალური პროგრამა "მესაკუთრე", ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს, 19 სთ 30 წთ-ზე. უკვე მომზადდა და გადაიცა 3 გადაცემა, რომელიც შეეხებოდა სპეციალიზებული აუქციონების მიმდინარეობისა და ჩატარების, უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების მართვის უფლებით გადაცემის საკითხებს. შემუშავებულია სატელევიზიო გადაცემათა თემატიკა. სტუდია "4"-ის მიერ ყოველი სპეციალიზებული აუქციონის ჩატარების წინ მზადდება სპეციალური ერთწუთიანი სარეკლამო კლიპი, რომელიც სისტემატურად გადაიცემა ტელევიზიის პირველი არხით.

ყოველ ოთხშაბათს 10 სთ-ზე სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად მონაწილეობენ საქართველოს რადიოს გადაცემაში "აქტიური მიკროფონი".

სამინისტროში ყოველ ოთხშაბათს ტარდება პრესის დღე აკრედიტებული ჟურნალისტებისათვის.

ინფორმაცია

მსოფლიოს გარშემო

სტიპენდიებსაც მიიღებენ

ამიერიდან რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომები აღიარებული იქნება ევროპის ყველა ქვეყანაში. საუბარია არა მარტო უმაღლესი განათლების მიღების დოკუმენტზე, არამედ სიმწიფის ატესტატებზეც, რაც სკოლადამთავრებულებს უფლებას აძლევს მისაღები გამოცდები ჩააბარონ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ნებისმიერ უნივერსიტეტში. ამასთან მათ უფლება აქვთ მიიღონ ადგილობრივი სტიპენდიები.

ამჯერად მხოლოდ მრიცხველებით

მომავალი წლისთვის მოსკოვის ყველა ოჯახში დაიდგმება მრიცხველი, რომელიც აღრიცხავს ცხელი და ცივი წყლის მოხმარებას. ამდენად თითოეული გადაიხდის იმის საფასურს, რასაც დახარჯავს.

50 პროცენტის ფასდაკლებით

მათთვის, ვინც წყვილად მოგზაურობს, ავიაკომპანია "ლიუფტანზამ" შემოიღო შეღავათიანი ბილეთები თავის ყველა რეისზე გერმანიასა და საფრანგეთს შორის. ერთ-ერთი ბილეთის ფასი შემცირებულია 50 პროცენტით. ამასთან ავიაკომპანიის მგზავრებს შეუძლიათ იფრინონ ისე, რომ ბილეთიც არ შეიძინონ. საკმარისია მათ ჰქონდეთ საკრედიტო ბარათი.

შეღავათები ვრცელდება მხოლოდ 31 დეკემბრამდე.

გამოვლენილია ყალბი კუპიურები

რუსეთის ტერიტორიაზე უკვე გამოავლინეს ახალი ნიმუშის 100-დოლარიანის ყალბი კუპიურები. იგი ნამდვილისაგან განსხვავდება უხარისხო ქაღალდით, რომელსაც არა აქვს დამცველი ბოჭკო და არ ახასიათებს ე.წ. "ფულის სიხისტე".

საათი შეცვლის ელექტრონულ წიგნაკს

"Casio"-ს მარკის საათების ახალ ნიმუშებს შეუძლიათ თავისუფლად შეცვალონ ელექტრონული უბის წიგნაკები. მფლობელის სურვილის მიხედვით საათის ეკრანზე ნებისმიერ დროს აინთება საკრედიტო ბარათის, პასპორტის ნომრები. საათს შეუძლია დაიმახსოვროს გვარების ან ორგანიზაციების ვრცელი ნუსხა. "მახსოვრობის ვადა" ორი წელია.

გაიზრდება მინიმალური ოდენობა

სახელმწიფო დუმამ პირველი მოსმენით მიიღო კანონი "შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის შესახებ". თუ მომავალში ეს კანონი საბოლოოდ დამტკიცდება, მაშინ რუსეთში 1997 წლის პირველი ივნისიდან ანაზღაურების მინიმალური ოდენობა 95 ათასი რუბლი იქნება.

ტრასაზე ვიდეოტელეფონებს დგამენ

საფრანგეთის საავტომობილო გზების საზოგადოებამ და ტელესაკომუნიკაციო კომპანია "CEGETEL"-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად პარიზ-ლიონის ტრასაზე დაიდგმება ვიდეოტელეფონები, რომლებიც, კომპანიების აზრით, ასპარეზიდან მალე გააძევებენ ჩვეულებრივ აპარატურას.

"ცემა გმართებს გამზრდელისა..."

მარტო პოეტი არ ფიქრობს ასე

როგორც იქნა საშველი დაადგა ერიდას ვაშლის უთავბოლო ტრიალს და განხეთქილებაც დროებით ჩაცხრა - რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი მოსმენით მიიღო ქვეყნის 1997 წლის ბიუჯეტის პროექტი.

სათათბიროს სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა სთხოვა დეპუტატებს დაეცხროთ პოლიტიკური ვნებები, არ გაეიგივებინათ პოლიტიკური ბრძოლა და მთავარი "ეკონომიკური კანონი".

პრემიერ-მინისტრის თხოვნა თითქოს ყურად იღო ოპოზიციამაც, მაგრამ გარკვეული პირობებით.

კერძოდ:

გენადი ზიუგანოვი: ამჟამად მხარს დავუჭერთ პროექტს, მაგრამ შემდგომი განხილვისას ბიოიკოტს გამოვუცხადებთ მას. ამასთან მივმართავთ მთავრობაზე ზემოქმედების სხვა ხერხებსაც, მათ შორის მრავალათასიანი მანიფესტაციების მოწყობასაც, თუ უახლოეს დროში მთავრობა ვერ შეძლებს ხელფასის დავალიანების დაფარვას, მაფიოზური კლანების - მოთოკვას და ქვეყნის მართვაში ჩარეული ზოგიერთი საეჭვო ელემენტის მოშორებას.

"საეჭვო ელემენტებში" ვის გულისხმობდა, ეს ბატონ ზიუგანოვს ამჯერად არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ისედაც ცხადი იყო ყველაფერი, მითუმეტეს, რომ შემდგომმა გამომსვლელმა სულ ცივი წყალი გადაასხა მთავრობის მოქმედებას.

გრიგორი იავლინსკი: ბიუჯეტის პროექტის მიღება ქვეყანას კატასტროფამდე მიიყვანს. ეს მთავრობამაც იცის და მაინც თავისას აკეთებს. მე მომწონს ოპოზიციის ნათელი გამოსვლები, ვიწონებ მათ გეგმებსაც.

ვლადიმერ ჟირინოვსკის სიტყვის დაწყება არ დასცალდა. ტრიბუნაზე ასვლისთანავე სხდომის თავმჯდომარემ მას სთხოვა ერთ-ერთი ახალგაზრდა ლიბერალ-დემოკრატის დაშოშმინება, რომელიც თავისი ზედმეტი აქტიურობით ხელს უშლიდა სხდომის ნორმალურად წარმართვას.

ვლადიმერ ვოლფოვიჩმა სცადა თხოვნის შესრულება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ეს ოპოზიციის მოიარებითი მინიშნებების, "საეჭვო ელემენტების" დაკონკრეტების საბაბადაც გამოდგა.

ჟირინოვსკიმ მისთვის ჩვეული უცერემონიობით აღელვებულ დეპუტატს თითი მიუშვირა და თქვა: აი, ახალგაზრდობა, პოლიტიკოსთა ახალი თაობა, რომელსაც ჩუბაისი ეკუთვნის, ამ განცხადებამ - ლეპუტატები გამოაცოცხლა. მაგრამ ორატორისმოყვარეს არავის უკითხავს, - თუ როგორ - ზრდის პრეზიდენტის კანცელარიის თავკაცი ლიბერალ-დემოკრატთა ახალ თაობას, როცა არასოდეს მხარს არ უჭერდა და მით უფრო დღეს არ თანაუგრძნობს პარტიის პროგრამას.

დაუსმელ კითხვაზე პასუხის გაცემით არც ჟირინოვსკის შუაწუხებია თავი, რადგან, მისი აზრით, მთავარი უკვე თქვა: ცუდი თაობის გამზრდელი დასასჯელი და აპარატიდან გასაძევებელიაო.

მისი მთავარი მიზანიც ამის განცხადება იყო.

ვნებათაღელვა ჩაცხრა, მაგრამ არ ჩამქრალა.

არსებითი მაინც წინ არის - ბიუჯეტის საბოლოო დამტკიცება.

«რასაცა გასცემ შენია»...

ფრანგები სესხს დაიბრუნებენ... 100 წლის შემდეგ

მართლაც ასეა. ამ ქვეყნად არაფერი იკარგება, არც არაფერი ქრება უკვალოდ. საიდუმლო განძს პოულობენ, გარდაცვლილი მევალის მემკვიდრეებსაც.

ეს ელემენტარული ჭეშმარიტება უახლესი დღეების მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებმაც დააადასტურა.

პარიზში სტუმრობდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. ეს დიდი მნიშვნელობის ვიზიტად ჩათვალა რუსულმა პრესამ და განგაშიც ატეხა.

ფინანსისტებიც შეშფოთდნენ.

რა მოხდა ასეთი?

არაფერი განსაკუთრებული. როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა - პარიზში ბატონმა ჩერნომირდინმა სხვა დოკუმენტებთან ერთად ხელი მოაწერა მემორანდუმს, რომლის ძალითაც რუსეთმა მეფის ვალების დაფარვა იკისრა.

როგორც მემკვიდრემ, რუსეთმა ამით მამა-შვილური ვალიც მოიხადა და საფრანგეთის ხაზინაც 400 მილიონი დოლარით გამდიდრა.

საქმე ის არის, რომ "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" წინარე წლებში რუსეთის მრეწველობა თავს ლაღად გრძნობდა და დაჩქარებული ტემპებითაც ვითარდებოდა. ცხადია, მეფის დაცარიელებული ხაზინა ასეთ გაქანებას ვერ გაუძლებდა. მრეწველობის აყვავება, უბრალოდ, უცხოურ სესხებს ეყრდნობოდა.

უჩვეულოც არაფერი იყო. ღარიბი ქვეყანა წელს მოიმაგრებდა, სულს მოითქვამდა და, ალბათ, მოვალეების წინაშეც პირშავად არ დარჩებოდა.

ეს უკვე ვარაუდია, რადგან კომუნისტებმა რუს მრეწველებს ცა თავზე დაამხეს, უმრავლესობას სამშობლო დაატოვებინეს, მათი ქონების ნაციონალიზაციაც გამოაცხადეს და, რაც მთავარია, ყოველგვარ ვალზე უარი თქვეს, რადგან მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობითობაც უარყვეს.

რუს მრეწველებთან ერთად ფრანგებიც დიდად დაზარალდნენ. მაშინ საფრანგეთი "მსოფლიო ბანკირი" იყო და სესხსაც უხვად გასცემდა. შეეძლო და არ ენანებოდა. სწამდა, რომ ერთი ათად დაუბრუნდებოდა, მაგრამ...

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, სწორედ ისე მოხდა. საფრანგეთს ვერც საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებამ უშველა და ვერც ინტერვენციაში აქტიურობამ მოუტანა რაიმე სარგებელი - თავნიც დაკარგა.

მარტო ქვეყნის ხაზინა არ დაზარალებულა. ბევრ ფრანგსაც მოეცარა ხელი და სკივრში საგულდაგულოდ გადანახული დაურჩა მეფის ობლიგაციები.

მაშინდელ საფრანგეთში იყო ერთი ფენა, რომელსაც "რანტიეს" ეძახდნენ. ეს ხალხი სულ არაფერს აკეთებდა, მხოლოდ აქციებისა და ობლიგაციების რენტით (პროცენტით) ცხოვრობდა.

საფრანგეთის კაპიტალის ექსპორტის ერთი მეოთხედი რუსეთზე მოდიოდა და ამ უზარმაზარ თანხაში კერძო პირების დიდი წილი იდო.

1917 წლისათვის რუსეთს ფრანგ კერძო მეანაბრეთა 5 მილიარდი ეგრეთწოდებული ოქროს ფრანკი ემართა. ლენინის მთავრობა ამ ფულის გადამხდელი არ იყო და ვერც შესძლებდა. არც მომდევნო წლებში შეცვლილა რამე.

ხუთმა მილიარდმა ოქროს ფრანკმა იბარგყა (პროცენტები დაემატა) და დღეისათვის ზღაპრულ თანხას - 40 მილიარდ დოლარს მიაღწია. ეს გასავლის ნაწილში რუსეთის ბიუჯეტის ნახევარს შეადგენს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრთან ჟაკ შირაკთან და ფინანსურ წრეებთან მოლაპარაკების დროს ვიქტორ ჩერნომირდინმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია - ფრანგებმა ვალი 100-ჯერ შეამცირეს და 400 მილიონს დაყაბულდნენ. ცოდვა გამოტეხილი სჯობს და მოლაპარაკების დროს რუსეთიც სამართლიანად მოითხოვდა ინტერვენციის წლებში ქვეყნისათვის მიყენებული ზარალის ვალის ანგარიშში ჩათვლას, რასაც ბოლოსდაბოლოს მიაღწია კიდეც.

ვალის დაფარვა მხოლოდ 1998 წელს დაიწყება და 2002 წელს დამთავრდება.

ამ გარიგებამ რუსი ფინანსისტების გარკვეული შეშფოთებაც გამოიწვია და მადის გაღვიძებაც.

შეშფოთების მიზეზი გასაგებია. პარიზის მემორანდუმზე ხელის მოწერას ისინი ქვეყნის გაღატაკებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ.

არც მალავენ და აცხადებენ, რომ პრემიერ-მინისტრი პრობლემის გაღაწყვეტას ვიწრო თვალთახედვით მიუდგაო. ამას იმით

ასაბუთებენ, რომ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებისათვის რუსეთს რეპატრიაციის სახით არაფერი მიუღია. თუმცა დიდხანს იბრძოდა გამარჯვებულთა მხარეზე და სულ ცოტა ორჯერ მაინც იხსნა საფრანგეთი უეჭველი განადგურებისგანო. თუ მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილება, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც პასივი, ისე აქტივიც.

რუსი ფინანსისტების აზრით, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მშრალზე დატოვება არის სწორედ ის აქტივი, რომელიც ძველ ვალებს თუ არ დაფარავდა, მნიშვნელოვნად მაინც შეამცირებდა. ამიტომ ჩერნომირდინს ეს საკითხი წინა პლანზე უნდა წამოეწიაო.

რატომ მაინცდამაინც მხოლოდ საფრანგეთს უნდა ეზღო ეს, ამაზე არაფერს ამბობენ.

აი, მადა კი სხვა საკითხების გახსენებამ გაუღვიძათ და მის დაკმაყოფილებაზე დაფიქრდნენ.

მეფის ვალს გადავიხდით, მაგრამ მეფის რუსეთის ქონებაც ხომ უნდა დავიბრუნოთო - ასე სვამენ ისინი კითხვას და სამაგალითოდ მრავალი ფაქტი მოყავთ.

მათ შორის იაპონიის პრობლემაც წამოტივტივდა.

კერძოდ:

ვარაუდობენ, რომ იაპონიაში მეფის ხაზინის საკმაო ნაწილი არის დარჩენილი. იგი ქვეყნიდან გაიტაცა ატამანმა სემიონოვმა აჯანყების დამარცხების შემდეგ. არსებობს თურმე სემიონოვის რამდენიმე ხელმოწერა დოკუმენტებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ იაპონიაში დარჩენილი განძი ბევრად აღემატება იმას, რაც მომავალში რუსეთმა საფრანგეთს უნდა გადაუხადოს.

ერთი შეხედვით, პრობლემის ასეთი დანახვა თითქოს სამართლიანი ჩანს. მართლაც, მეფის რუსეთის ვალები თუ უნდა დაიფაროს, მაშინ მეფის ხაზინის, კუთვნილი ქონებაც მის კანონიერ მემკვიდრეს უნდა დაუბრუნდეს.

ამას საერთაშორისო სამართალიც ითვალისწინებს და უბრალო ცხოვრებისეული სამართლიანობაც.

ოღონდ არის ერთი საჩოთირო მომენტი. ფინანსისტების, თუ გნებავთ პოლიტიკოსების მართებული აზრის საწინააღმდეგოდ არსებობს მყარი შემხვედრი პრეტენზიაც.

იაპონიისათვის ეგრეთწოდებული "სემიონოვის განძის" მოთხოვნა რეალური არ ჩანს, რამდენადაც თავად იაპონელები დიდი ხანია მოითხოვენ თავიანთი განძის - კურილიის კუნძულების დაბრუნებას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ საბჭოთა კავშირის, ახლა კი რუსეთის ტერიტორიის ნაწილად არის მიჩნეული.

მართალია, "სემიონოვის განძის" და კურილიის კუნძულების პრობლემის ერთ ჭრილში განხილვა არ შეიძლება, მაგრამ იაპონელები დიდი ხანია კუნძულების დაბრუნებას ამაოდ ესწრაფვიან და ძნელი დასაჯერებელია, რომ მეფის ხაზინის ნაწილის რუსეთში უყოყმანოდ დაბრუნებაზე დათანხმდნენ...

რაც შეეხება საფრანგეთს, აქ მეფის რუსეთის ობლიგაციები და აქციები ბოლო დრომდე ანტიკვარულ და ბუკინისტურ მაღაზიაში ჩალის ფასად იყიდებოდა, როგორც სუვენირი.

ახლა მათ ფასი დაედო, მაგრამ არა ყველას ერთნაირი. საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა უპირატესობა მიანიჭოს აქციებისა და ობლიგაციების "ნამდვილ" მფლობელებს, რომელთაც ისინი მემკვიდრეობით მიიღეს. ისე შემსყიდველებსაც უნდათ ჰქონდეთ რაღაცის იმედი. ყიდვაშიც ხომ ფულია გადახდილი.

გაცემული კი არასოდეს იკარგება, ოღესმე მაინც დაბრუნდება ისე, როგორც უკვე ხელჩაქნეულ ფრანგ მეანაბრეებს უბრუნდებათ საუკუნის წინ გაცემული სესხი.

ჭრელი ამბების დასტა

ვის რამდენი დაუჯდა განქორწინება

დიდ იტალიელ ტენორს ლუჩანო პავაროტის ენამახვილმა მუსიკისმოყვარულებმა ზედმეტ სახელად "პაგა-როტი" შეარქვეს ("წვრილი ფულის გადამხდელი"), და ამით მიანიშნეს ადუეა ვერონისთან განქორწინებაზე. ამ ქალთან ლუჩანო პავაროტიმ სიცოცხლის 35 წელიწადი გაატარა და მას საკუთარი გულუხვობიდან გამომდინარე, განშორებისათვის 250 მილიარდი ლირა გადაუხადა. ასეთი მაღალი ჟესტი მსოფლიოში ჯერ არავის გაუკეთებია.

მილანის ჟურნალი "ეპოკა" რეიტინგით მეორე ადგილზე ასახელებს მულტი-მილიარდერ შეიხს ქარიმ აღა ხანს, მან სიამტკბილობაში გაატარა 27 წელი ინგლისელ სარა კროკერ-პოლთან. ქარიმის განქორწინებამ დიდი სკანდალი გამოიწვია. როცა საქმე ფინანსურ ანგარიშსწორებაზე მიდგა, მან თვალისდაუხამხამებლად გაიღო 200 მილიარდი ლირა. აქედან 130 მილიარდი ჩეკით, დანარჩენი კი ძვირფასეულობით.

ამ თავისებური კონკურსის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა მძიმე-წონოსანი მოკრივე მაიკ ტაისონი. მას "ქამრის ქვემოთ" პირველი დარტყმა მიაყენა რობინ ტივენსმა, რომელმაც განქორწინებისათვის ლირებში 170 მილიარდი მიიღო.

ამერიკელი მსახიობი სილვესტერ სტალონე ყველაზე "გადახდისუნარიან" მსხვერპლთა პირველ შვიდეულში მოხვდა. დედამისი მართალი გამოდგა, როცა რძალს სიხარბეს სწამებდა - მწველმა ქერა ქალმა, დანიელმა მემოდელე ბრიგიტ ნილსენმა ცნობილ რემბოს ორი წლის ერთად ცხოვრებაში თორმეტი მილიარდი ლირა წაართვა.

"მარია კალასი" სცენაზე

პარიზში ტერენს მაკნელის პიესის მიხედვით დაიდგა სპექტაკლი "მასტერ-კლას"-ი. ლეგენდარული მარია კალასის როლს, რომელიც 1965 წელს სცენასთან გამოთხოვების შემდეგ სამუსიკო სკოლაში "მასტერ-კლასს" ხელმძღვანელობდა, ასრულებდა ფანი არდანი. წარმოდგენას უკვე დიდი წარმატება ხვდა წილად ბროდვეიზე, პარიზში მისი დადგმა ეკუთვნის რეჟისორ რომან პოლინსკის.

მსმენელები კარს მიღმა

ინგლისის ქალაქ ბირმინჰემში შეიკრიბა 2845 ნორჩი მუსიკოსი - 6-დან 18 წლის ასაკამდე, რათა დაეკრა ყველაზე დიდი სიმფონიური ორკესტრის შემადგენლობაში. კონცერტი სულ 15 წუთი გრძელდებოდა. შესრულდა, ორჯერ - ჰოვარდ ბლეიკის ნაწარმოები "დაე, ცოცხლობდეს მუსიკა". დასასრულს ორკესტრის დირიჟორმა აღნიშნა, "რომ ეს იყო შესანიშნავი შესრულება" და თხოვნით მიმართა... ორკესტრის წევრებს ტაში დაეკრათ. ნორჩმა მუსიკოსებმაც ტაშის ცემა ატეხეს. სხვა გზა არც იყო: საკონცერტო დარბაზი გაჭედილი იყო ორკესტრის ნორჩი წევრებით, მსმენელებისთვის კი ადგილი აღარ დარჩა. ბირმინჰემის ეს მუსიკალური მოვლენა აუცილებლად საპატიო ადგილს დაიკავებს გინესის რეკორდების წიგნში, როგორც "ყველაზე დიდი ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი". ეს რუბრიკა წიგნში პირველად შევა, თუმცა დიდი კოლექტივების გამოსვლის ტრადიცია ჯერ კიდევ 1872 წლიდან აღირიცხება, როცა ამერიკის ბოსტონში იოჰან-შტრაუს უმცროსი დირიჟორობდა 987 მუსიკოსისაგან შემდგარ ორკესტრსა და 20-ათასიან გუნდს.

კამფეტებიც და მონეტებიც

ლუნიტა მასას ზამბრანო უკვე ოთხი წლისაა, მაგრამ საბრალო გოგონა 50 სანტიმეტრს ვერ აცდა. ეს პაწია ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ღირშესანიშნაობად იქცა ეკვადორის ქალაქ გუაიაკილისათვის. ხალხი სპეციალურად მოდის იმის სანახავად, თუ ეს დალეული გოგონა რა მარჯვედ აგროვებს მისთვის საჩუქრად გადაყრილ კამფეტებსა თუ მონეტებს.

რა კარგია მდიდარი დედა

მარკ ტეტჩერი ყოველთვის უამრავ თავსატეხს უჩენდა თავის სახელგანთქმულ დედას. 80-იანი წლების დასაწყისში, როცა მარგარეტ ტეტჩერი მთავრობის სათავეში იდგა, მისმა ვაჟიშვილმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო აფრიკაში გამართულ ავტო-რალში. ახალგაზრდა გზას ასცდა და კავშირი დაკარგა რბოლის ორგანიზატორებთან. იმ მომენტში ბრიტანელებმა ტელევიზორით "რკინის ლედი", სრულიად მოულოდნელი რაკურსით დაინახეს: პოლიციელის მხარს დაყრდნობილი ტეტჩერი ტიროდა.

პრემიერის ვაჟიშვილის ეს თავგადასავალი კეთილად დამთავრდა. უფრო რომ წამოიზარდა, მან ბიზნესს მოჰკიდა ხელი და 40 მილიონი გირვანქა გამოიმუშავა არაბული ქვეყნებისათვის იარაღის მიწოდებით. მაგრამ უკანასკნელ ხანებში მას რატომღაც ხელი მოეცარა. დაიწყო სასამართლოები. ამას წინათ კი ტეხასელმა მოსამართლემ აღმოაჩინა, რომ მარკის გაკოტრებას აღარაფერი უკლია და დაადგინა, რომ მას რამდენიმე დღეში 120 ათასი გირვანქის გირაო შეეტანა. აი, აქ კი მოყვარული დედა ჩაერთო საქმეში. მართალია, მარგარეტი მთავრობის მეთაური აღარ არის, მაგრამ საკმაოდ დიდ ჰონორარებს ღებულობს ლექციებსა და ინტერვიუებში. მოკლედ, ბარონესამ თავის ვაჟიშვილს მისცა სასწრაფო სუბსიდია 700 ათასი გირვანქის ოდენობით.

ეტრუსკული სამარხების განძეული

იტალიელმა არქეოლოგებმა მიაგნეს ცხრა შესანიშნავად დაცულ ეტრუსკულ სამარხს რომის მახლობლად მდებარე ქალაქ ჩერვეტერისთან. არქეოლოგებმა მას შემდეგ დაიწყეს გათხრა, რაც პოლიციამ გაავრცელა ცნობა ქალაქის ნეკროპოლის ახლოს საეჭვო სამეულის მიერ წამოწყებული გათხრების შესახებ. ისინი ნამდვილად არ გვანდნენ ჩვეულებრივ სასაფლაოს ქურდებს. ამიტომ მათი საქმე განაგრძეს სახელმწიფო არქეოლოგიური სამმართველოს მუშაკებმა.

გახსნილი სამარხები ჩვენს წ.აღ.-მდე VII-V საუკუნეებს განეკუთვნება და აქამდე ხელშეუხებლად იყო შემონახული. გათხრების მიდამოებში ნაპოვნია სიძველეთა ორასზე მეტი ნიმუში - ფიალები, ლარნაკები და ოქროს სამკაულები, ეტრუსკული, ბერძნული და ფინიკიური წარმომავლობისა.

როგორც პოლიტიკოსს - არა შეაშს რა, როგორც მწერალს კი - ისე, რა

პრეზიდენტმა კლინტონმა, როგორც ცნობილია, გამარჯვება მოიპოვა საპრეზიდენტო არჩევნებში, თუმცა ნამდვილი ფიასკო განიცადა, როგორც პოლიტიკოსმა მწერალმა. მისმა წიგნმა "იმედსა და ისტორიას შორის", რომელიც ნახევარმილიონიანი ტირაჟით გამოიცა, დიდი მოწონება ვერ დაიმსახურა: წიგნითმოვაჭრენი იწყებენ გაუყიდავი ტირაჟის საგამომცემლო სახლის "რენდომ ჰაუს"-ისთვის დაბრუნებას. სპეციალისტთა გაანგარიშებით, უკან დაბრუნდება 250-350 ათასი ეგზემპლარი. თუმცა თეთრ სახლში მიაჩნიათ, რომ წიგნმა მაინც გააკეთა სასარგებლო საქმე, მასზე მუშაობისას კლინტონმა შეძლო დაეხვეწა არგუმენტები თავისი წინასაარჩევნო კამპანიისათვის.

საქსონია ყიდის სასახლეებს

გერმანიაში, თავისუფალმა მიწა საქსონიამ გადაწყვიტა გაყიდოს მის ტერიტორიაზე განლაგებული და მის მიერ გამოუყენებელი სასახლეები და მიმდებარე სამბოლურ ფასად - სულ 1 გერმანულ მარკად.

მიწის ფლობის ამ ექსტრავაგანტულ ზომამდე ბიჯიდა მას შემდეგ, რაც ვერ მოახერხა ძველი ნაგებობების დირებულების შესაბამის ფასში გაყიდვა. ჯერჯერობით მხოლოდ ერთმა სასახლემ შეიძინა ახალი მფლობელი. დარჩენილი 19 კი თითო მარკად იყიდება. თუმცა გერმანელები ხალისით არ შეხვედრიან მთავრობის ამ წინადადებას. საქმე ის გახლავთ, რომ საქსონიის ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით ახალმა მფლობელებმა თავის თავზე უნდა აიღონ მთელი რიგი ვალდებულებები. მაგალითად, მათ განსაზღვრულ ვადაში უნდა მოახდინონ ნაგებობების რესტავრაცია, თანაც არა თავისი გემოვნების მიხედვით, არამედ ისტორიულ ძეგლთა დაცვის სპეციალისტთა რეკომენდაციების მიხედვით. შემდეგ კი ნაწილობრივ მაინც უნდა "დაუთმონ" დამთვალიერებლებს, სიძველეთა მოყვარულ მოგზაურებს.

საქსონიაში სულ 86 სასახლეა, რომელთა დიდი ნაწილი გამოიყენება, როგორც მუზეუმი. მსგავსი მეთოდის გამოყენებას აპირებს ბრანდენბურგის მიწების ხელისუფლებაც.

ფრაუ კოლისა და მისი მეუღლის კულინარული წიგნი

ქალაქ პერიგიოში გამართული საფრანგეთ-გერმანიის მორიგი სამმიტის სასიამოვნო სიურპრიზად იქცა ჰანელორე კოლისათვის წლის საუკეთესო შრომის - გემრიელი და ჯანსაღი საკვების შესახებ წიგნისათვის პრემიის გადაცემა. ქალბატონმა ჰანელორემ თავის მეუღლესთან კანცლერ ჰელმუტ კოლთან ერთად დაწერა წიგნი "გურმანის მოგზაურობა გერმანიაში".

პერიგიოში, ქალაქში, რომელიც განთქმულია თავისი სანელებლებით, იმავე სალონში წარმოდგენილია მეორე წიგნიც - "სასადილო მაგიდასთან შიბაკთან ერთად", რომელიც ეძღვნება საფრანგეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის გემოვნებას. თურმე იგი საერთოდ უბრალო საჭმელებს არჩევს. თუმცა ყოველგვარ საჭმელს მიირთმევს, როგორც ჰელმუტ კოლი, დიდი ოდენობით და ძალიან სწრაფად. მისი ყველაზე სასურველი საჭმელია ხალხში მეტად პოპულარული ხბოს თავი.

პარიზმა შეაჩერა "ტომსონის" პრივატიზება

საფრანგეთის მთავრობამ მოულოდნელად შეაჩერა "ტომსონ სსფ"-ს და "ტომსონ მულტიმედიას" ჯგუფის პრივატიზება, რომლის გადაცემა კონცერნ "ლაგერდერისთვის" ჯერ კიდევ ოქტომბერში ჰქონდა გადაწყვეტილი, თანაც ნამდვილად სიმბოლურ ფასად - 1 ფრანკად.

ხელისუფლება იძულებული გახდა გადაედგა ეს ნაბიჯი მას შემდეგ, რაც პრივატიზების კომისიამ უარყოფითი დასკვნა მისცა ჟან-ლიუკ ლაგარდერის განზრახვას - კორეული ფირმა "დეუ"-სთვის გადაეცა "ტომსონ მულტიმედია" - ელექტროსაყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტელევიზორების ჩათვლით მსოფლიოში მე-40 მწარმოებელი. (მკითხველს შევახსენებთ, რომ თავდაპირველი სქემის მიხედვით ჯგუფი "ლაგარდერი" აპირებდა "ტომსონ სსფ", რომელიც სამხედრო ელექტრონიკას უშვებდა, შეერთებინა მის კუთვნილ "მატრასთან", რომელიც რაკეტებს აწარმოებს, და ამგვარად შეექმნა მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კონცერნი).

საპრივატიზებო კომისიამ შიში გამოთქვა იმის გამო, რომ კორეული ფირმა დაეუფლება უახლეს ფრანგულ ტექნოლოგიას, ციფრული ტელევიზიის ჩათვლით, რომლის დამუშავება ძირითადად სახელმწიფოს დაფინანსებით ხდებოდა სამხედრო პროგრამის ფარგლებში. ამას გარდა, "დეუ"-ს უნდა მიეღო 9,9 მილიარდი 11 მილიარდი ფრანკიდან, რასაც მთავრობა გამოყოფს "ტომსონის" კაპიტალის გასაზრდელად მისი დენაციონალიზაციის წინ.

დაბოლოს კომისიამ ეჭვქვეშ დააყენა თავად "დეუ"-ს სამრეწველო პერსპექტივები და მისი დაპირებები "ტომსონ მულტიმედიაში" შეექმნა 5 ათასი ახალი სამუშაო ადგილი, ისევე როგორც ჩაედო მასში ინვესტიციები 5 მილიარდი ფრანკის ოდენობით, თანაც გაეხსნა თავისი ევროპული წარმომადგენლობა საფრანგეთში. ამ მიმართებით "დეუ", - ნათქვამია საპრივატიზებო კომისიის დასკვნაში, - არ უკავშირდება არც ერთ იურიდიულ ვალდებულებებს, არც საფრანგეთთან და არც ჯგუფ "ლაგარდერ"-თან.

მიუხედავად წარუმატებლობისა, ხელისუფლება არ აპირებს უარი თქვას "ტომსონის" პრივატიზებაზე, რომელიც ალბათ, 1997 წლის გაზაფხულისათვის დასრულდება. ალან ჟიუპემ განაცხადა, რომ მთავრობა უმოკლეს ვადაში განაახლებს კონსულტაციებს ამ საკითხზე.

ამჟამად "ტომსონის" შეძენის ორად ორ კანდიდატად რჩება "ლაგარდერ"-ი და სამრეწველო ჯგუფი "ალკატელ-ალსტომი". თუმცა, შესაძლებელია გამოჩნდეს ახალი, კერძოდ კი კომპანიები "აეროსპასიალი" და "დასო", რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება გაერთიანდნენ. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ მთავრობამ შეცვალოს "ტომსონის" პრივატიზების თავდაპირველი სცენარი და უფრო მიზანშეწონილად მიიჩნიოს მისი ნაწილ-ნაწილ გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში "ლაგარდერი" შეეცდება შეინარჩუნოს "ტომსონ სსფ" და დატოვოს "ტომსონ-მულტიმედია".

კორეელებმა მეტისმეტად მტკივნეული რეაგირება მოახდინეს პრივატიზების შეჩერებაზე, რაც მათთვის ოფიციალურად არც შეუტყობინებიათ. სამხრეთ კორეის ვაჭრობისა და ენერგეტიკის მინისტრმა ბრალი დასდო პარიზს დისკრიმინაციული გადაწყვეტილების მიღებაში ქვეყანასთან მიმართებაში.

"დეუ", მიუხედავად შეურაცხყოფისა, მაინც არ კარგავს იმედს და აპირებს შემდგომ ბრძოლას "ტომსონ მულტიმედიას" მოსაპოვებლად.

ქვეყნის შიგნით მემარცხენე პარტიები და პროფკავშირები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა მოითხოვენ "ტომსონის" დატოვებას სახელმწიფო სექტორში. საერთაშორისო გაგებით პარიზისადმი ნდობა უცხოელ ინვესტორებს შორის შესუსტდა. მსგავსი გაურკვევლობა მდგომარეობას ურთულებს თვითონ "ტომსონ"-საც.

ეს მტკივნეული დარტყმაა კონცერნ "ლაგარდერ"-ისთვისაც, რომლის აქციები 7%-ზე მეტად სწრაფად დაეცა ბირჟაზე. და მაინც თვითონ ჟან-ლიუკ ლაგარდერს ხელი არ ჩაუქნევია და "ტომსონის" შეძენას თავის სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევს. ყოველივე ამის გათვალისწინებით საბოლოო გამარჯვებამდე ბრძოლას აპირებს "ალკატელ-ალსტომი". მისმა წინადადებამ პრივატიზების კომისიის მაღალი შეფასება დაიმსახურა, რომელმაც განსაკუთრებით აღნიშნა მის მიერ "ტომსონის" შეძენის შემთხვევაში "ევროპის მძლავრი ინდუსტრიული კომპლექსის" შექმნის შესაძლებლობა.

მოჯადოებული წრე არ ირღვევა

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება მეტწილად ენერგოსისტემასთანაა დაკავშირებული. მარტივად რომ ვთქვათ, თუ არ იქნება ელექტროენერგია, არ იმუშავებს ძრავები, ვერ ავამუშავებთ ჩარხ-დანადგარებს, არ გამოვა პროდუქცია, ვერ შევავსებთ ბიუჯეტს და ა.შ.

უკანასკნელ ხანს რთული რეჟიმული პირობების მიუხედავად, ელექტროენერგიის მოხმარების შედარებით სრულყოფის შედეგად დენის სიხშირე 49,1-49,3 ჰერცის ფარგლებში მერყეობს. ეს უკეთესი მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. ადრე სიხშირე 45-46 ჰერცს ხშირად არც კი აღემატებოდა, რაც ავარიულ სიტუაციებს ქმნიდა: საწარმოებში მწყობრიდან გამოდიოდა ძვირადღირებული აპარატურა და პასუხისმგებელი არავინ იყო. როგორც სახელმწიფო კომპანია "საქენერგოს" თანამშრომლები გვპირდებიან, მსგავსი სიტუაცია წელს არ განმეორდება.

როგორც იქნა სტაბილურად ამუშავდა ლეგენდაღქცეული მე-9 ბლოკი, ფუნქციონირებს მე-3 ბლოკი. მათი ჯამური დატვირთვა 300 მგვტ-ია დღე-ღამეში, თბილსრესს 1,3 მლნ კუბური მეტრი გაზი მიეწოდება.

ელექტროსადგურებზე სამუაღლო დღე-ღამური გამომუშავება 4,5-5,1 მლნ კვტ სთ-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი შარშანდელს თითქმის 120%-ით აღემატება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილსრესში მაზუთის მარაგი 90 ათასი ტონაა, ხოლო 45 ათასი უახლოეს ხანში შევა, შეიძლება ითქვას, რომ თავის მოსაკლავად საქმე ჯერ არ გვქონია. ისევ და ისევ გულისგამაწვრილებელი ავარიები თუ არ დაამსხვრევს ჩვენს ოცნებებს.

საქართველოს მოსახლეობა, ალბათ, ისევე განიცდის ზამთრის მოსვლას, როგორც თავის დროზე რუსეთში ყოფნის დროს ნაპოლეონი და ჰიტლერი.

ცუდადაა საქმე ჰიდროელექტროსადგურებზე. მდინარეებში მნიშვნელოვნად შემცირდა წყლის მარაგი. ნოემბერში ჰიდროელექტროსადგურებზე დღე-ღამურმა გამომუშავებამ სულ 3,5 მლნ კვტ· სთ. შეადგინა. ყურადღების მისაქცევია ის ფაქტიც, რომ შარშან ამ პერიოდში ჰიდროელექტროსადგურები 65%-ით მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებდნენ.

სიტუაციის გამოსწორება იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ დაცული იქნება მოხმარების გრაფიკი. მართალია; გასულ წელთან შედარებით ეს საკითხი მოგვარდა, მაგრამ დარღვევები მაინც არის.

ამის დამადასტურებლად ის ფაქტიც გამოდგება, რომ დღე-ღამური მოხმარება დაგეგმილი 20 მლნ კვტ.სთ-ის ნაცვლად 21,2 მლნ კვტ.სთ-ს შეადგენს. დეკემბრის დასაწყისში ლიმიტი მნიშვნელოვნად გადახარჯა თბილისმა და ქუთაისმა.

დიდ პრობლემას წარმოადგენს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება. ეტყობა, მოსახლეობამ კარგად ვერ გაიგო, რომ სოციალიზმი დამთავრდა, უფასოდ არავინ არაფერს მოგცემს. ელექტროენერგია ისეთივე საქონელია, როგორიც პური, ყველი, საცხოვრებელი სახლი, თვითმფრინავი. ხომ წარმოუდგენელია ვინმემ თავისი სახლი ან მანქანა გაჩუქოს, ასევე უნდა გახდეს ელექტროენერგიაც. მართალია, მოსახლეობის დაბალი გადახდისუნარიანობა მისი მიზერული ხელფასითაა გამოწვეული, მაგრამ სიტუაცია უნდა დარეგულირდეს. ის მინიმუმი, რასაც ოჯახი "სნიკერსებსა" და "ქინდერებზე" ხარჯავს, ელექტროენერგიის გადახდას რომ მოხმარდეს, სიტუაცია ნაწილობრივ მაინც გამოსწორდებოდა.

კომპანია "საქენერგომ" გადასახადის ამოღების საინტერესო მეთოდს მიაგნო. ყველას უსწავლია, ალბათ, ისტორია და გაგონილი ექნება, როგორი აღებ-მიცემობა იყო პირველყოფილი თემური წყობილების დროს.

ერთი თემი, რომელიც ბღვასთან და მდინარესთან ახლოს ცხოვრობდა, დაიჭერდა თევზს, შემდეგ მონადირე თემს მიადგებოდა და კალმახს (თუ ასეთი რამ მაშინ არსებობდა) გარეულ ღორში გადაუცვლიდა (შინაური ღორები მაშინ არ არსებობდა).

ნოემბერში "საქენერგომ" ბესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან და "ჭიათურმარგანეციდან" მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურად 2 მილიონი ლარის პროდუქცია წამოიღო. ს/გ "აზოტისა" და რკინიგზის დეპარტამენტის მიერ მოხმარებული ენერგიის საფასურით ხდება რკინიგზის დეპარტამენტთან ნაწილობრივ (200 ათასი ლარი), ხოლო ს/გ "აზოტთან" მთლიანი თანხით, გასულ წელს თბილსრესში დახარჯული ბუნებრივი აირი, რაც ჯამში შეადგენს 700 ათას ლარს.

ურჩი გადამხდელია წყალთა მეურნეობაც, რომლის გამოც ენერგოსისტემას თვეში 600-700 ათასი ლარი აკლდება.

ერთი სიტყვით, მოჯადოებული წრე ვერ იხსნება, მიმწოდებელი გაუმართავ მუშაობას მომხმარებელს აბრალებს, მომხმარებელი ასევე გაუმართავი მუშაობისათვის არ იხდის ფულს და ასე დაუსრულებლად.

ნეტავ, ამ დაუსრულებელ ამბავს თუ ექნება დასასრული.

ᲛᲘᲨᲘᲙᲝ ᲑᲔᲜᲓᲣᲫᲘᲫᲔ

ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ

კვლავინდებური სტაბილურობით გამოირჩევა სამომხმარებლო ბაზრის ფასები. არსებული ინფორმაციით დეკემბრის დასაწყისში სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მკვეთრი ცვლილება არ აღნიშნულა.

ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი უმნიშვნელოდ 0,08 პროცენტით გაიზარდა. ეს ძირითადად ბოსტნეულზე ფასების სეზონურმა ცვლილებამ გამოიწვია. მოიმატა პამიდვრის ფასმა - 0,75 ლარიდან 0,85 ლარამდე, რაც 13,3%-ს შეადგენს. მთლიანად სასურსათო საქონელზე ფასებმა 0,21 პროცენტით მოიმატა. დაგვეთანხმებით, ესეც უმნიშვნელო ცვლილებაა.

აღსანიშნავია, რომ სასურსათო საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ცვლილება არ აღნიშნულა.

ნოემბრის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 დეკემბრისათვის ფასების ცვლილება ასევე უმნიშვნელოა.

ჯამური მაჩვენებელი გაზრდილია 0,28 პროცენტით. მათ შორის სასურსათო საქონელზე 0,7, მომსახურების ტარიფები 0,06 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონლის ფასები უცვლელი დარჩა.

295 დასახელებიანი კალათის მიხედვით იანვარ-ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 112,7%-ია. ხოლო ნოემბერში ამ მაჩვენებლის ცვლილებამ წინა თვესთან შედარებით 1,1% შეადგინა.

რა თქმა უნდა, სასიხარულო ფაქტია, როცა ფასები არ იზრდება, მაგრამ არის ერთი საშიშროება - დღესასწაულებია, ყველას უნდა, რომ ახალ წელს სუფრა ბარაქიანი ჰქონდეს. ეკონომიკურად რომ ვთქვათ, გაიზრდება მოთხოვნა და მიწოდებაც, თუ შესაბამისად არ მოიმატებს ფასები, ნახტომისებურად "წავა მაღლა", რაც ისევ და ისევ ჩვენს ჯიბეებს დაეტყობა.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲨᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲘᲙᲚᲝ

წარმოების ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ყველაზე ეფექტური და რეალური საშუალებაა. ალბათ, დროა გავითვისოთ, რომ მხოლოდ ლარის კურსის სტაბილურობა ეკონომიკურ აღმავლობას ვერ უზრუნველყოფს. არც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარება იქნება მუდმივი. აქ სიტყვა "დახმარება" ძალიან პირობითადაა ნათქვამი, რადგან კრედიტების ნაკადი, რომელიც ჩვენი ქვეყნისაკენ მოედინება, დროთა განმავლობაში დასაბრუნებელია და თანაც, გარკვეული პროცენტით. არა, ეს დახმარება საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ცოტა ხელი ჩვენც თუ არ გავანძრიეთ, ყველაფერი წყალში ჩაიყრება. ამ მხრივ სიტუაცია არც თუ ისე დამაიმედებელია.

ნოემბერში დედაქალაქში 12,2 მლნ ლარის სამრეწველო პროდუქცია აწარმოა, რაც 19%-ით ნაკლებია 1996 წლის თვის საშუალო მაჩვენებელზე.

ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა იმერეთის მხარეში. 21-30 ნოემბრის განმავლობაში სამრეწველო საწარმოებმა 1,2 მლნ დოლარის პროდუქცია აწარმოეს, რაც წინა დეკადასთან შედარებით 3,4%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ ზრდა იმერეთის მხოლოდ რამდენიმე რაიონში შეინიშნება (სამტრედია, ბაღდათი). ასევე გაუმჯობესა მუშაობა ქუთაისმა. დანარჩენ რაიონებში კი წარმოების ზრდის ტემპი დაეცა.

ამ პერიოდის განმავლობაში ფოთში 241 ათასი ლარის პროდუქცია გამოუშვეს. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, რადგან წინა დეკადის მონაცემებს 40 პროცენტამდე აღემატება.

მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის გამოშვება სამცხე-ჯავახეთში. რეგიონი საშუალო დეკადურ მაჩვენებელს 30%-ით ჩამორჩა.

თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სტატისტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით მცირდება წარმოების ზრდის ტემპი. ამის გამომწვევი მიზეზი, ალბათ, ენერგომატარებლებზე ფასის მომატება და მათი დეფიციტია. თუმცა, ეს თავის მართლებად არ გამოდგება, რადგან როგორც სათბობენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელები აცხადებენ, მნიშვნელოვან შეფერხებებს ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია.

პროდუქციის წარმოებამ თუ ასეთივე პროგრესით განაგრძო დაცემა, მაშინ მოსალოდნელია, რომ იანვრის შუა რიცხვებში საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების 90 პროცენტი (აქ ის საწარმოები იგულისხმება, რომლებიც ამჟამად მუშაობენ) საერთოდ გაჩერდება.

აი, კრიზისი და ინფლაცია მერე ვნახოთ.

ᲛᲣᲠᲛᲐᲜ ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ᲨᲔᲓᲔᲒᲛᲐ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ... ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ

საქართველო ვაზის ქვეყანაა და ყურძნის მოვლა-მოჯანას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ნოემბრის ბოლოსათვის სულ გადამუშავებული იყო 60 055 ტონა ყურძენი, ნავარაუდები 100 ათასი ტონის ნაცვლად. კახეთში მოკრიფეს 52,9, ქართლში - 1,6, დასავლეთ საქართველოში - 5470 ტონა. აღსანიშნავია, რომ შესაბამისად მოელოდნენ 78,6 და 16 ათასი ტონის მიღებას.

ყურძნის შესყიდვა-გადამუშავებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი იქნა 6 მლნ ლარის კრედიტი, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ 3 მლნ ლარი. ბიუჯეტიდან გამოყოფილი კრედიტიდან კახეთმა მიიღო 5 მილიონი, ეროვნული ბანკის კრედიტიდან - 2,4 მლნ ლარი. დასავლეთ საქართველოს რაიონებმა მიიღეს სულ 1,4 მლნ ლარი. ქართლის რეგიონს ყურძნის დამზადებისათვის კრედიტი არ მიუღია.

დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში წინასწარი პროგნოზით ყურძნის დამზადება არ იყო გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, რაიონებში მაინც დაამზადეს 1000 ტონა ყურძენი. მათ შორის, სამტრედიამ - 637, ჭიათურამ - 35, ჩხოტაურმა - 142, ჩხოროწყუმ - 96 ტონა ყურძენი.

ქართლის რეგიონის დუშეთისა და ახალგორის რაიონებში ყურძენი საერთოდ არ დამზადებულა, ხოლო მცხეთის, კასპის, გორისა და ხაშურის რაიონებში დამზადდა უმნიშვნელო რაოდენობით და ადგილობრივმა ღვინის ქარხნებმა კახეთის ყურძენი გადაამუშავეს.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ხვნა-თესვის სამუშაოების აგროვადების ამოწურვის მიუხედავად, ნოემბრისა და დეკემბრის კლიმატურმა პირობებმა სამუშაოების გაგრძელების საშუალება შექმნა.

დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის ქვეყანაში საშემოდგომოდ მოხნულია 185,9 ათასი ჰექტარი, რაც 900 ჰექტარით სჭარბობს პროგნოზით გათვალისწინებულს. დათესილია 160,6 ათასი თავთავიანი კულტურები.

გრძელდება ციტრუსოვანი კულტურების მოსავლის აღების სამუშაოები. 5 დეკემბრის მდგომარეობით მოკრეფილი იყო 38 800 ტონა ნაყოფი. რეალიზებულია 12 300 ტონა.

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲖᲐᲜᲓᲣᲙᲔᲚᲘ

მსოფლიო ეკონომიკა

მაკდონალდსის ფირმის პოლიტიკა

მთელს მსოფლიოში დიდი მაკის პოპულარობას თუ დავაკვირდებით, შეიძლება დაგვებადოს აზრი, რომ თავის პოპულარობას მაკდონალდსი უნდა უმადლოდეს განსაკუთრებით კარგად დაგეგმილ მენეჯმენტს და დიდი ტალანტის მქონე მმართველებს. მაგრამ საქმე სულ სხვანაირადაა. უპირველეს ყოვლისა თვით ეს იდეა "ნასესხებია" სხვა რესტორნიდან. მეორე მხრივ კი, 1968 წელს მოფიქრებული და საქვეყნოდ ცნობილი მაკდონალდსის მენიუს მწარმოებლები იმთავითვე მოქმედებდნენ ხელმძღვანელობის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

50-იანი წლების დასაწყისში ძმებმა მაკდონალდსებმა (Mcdonald's) კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ბერნარდინოდან, შექმნეს სწრაფი მომსახურების პირველი რესტორანი. მათ მოიფიქრეს კონვეიერული ხაზი, რომელსაც დაარქვეს "სწრაფი მომსახურების სისტემა", სადაც ხდებოდა იაფფასიანი ჰამბურგერების, შემწვარი კარტოფილის და რძიანი კოქტეილების მიწოდება. რესტორნები ძირითადად ავტომობილისტებისათვის იყო განკუთვნილი.

რამდენიმე წლის შემდეგ, მეწარმე რიი კროკმა დაიწყო მაკდონალდსის სავაჭრო წერტილების ფრანჩაიზინგის რეალიზაცია. მან გააუმჯობესა სწრაფი მომსახურების სისტემა (თითოეული პირი მომსახურე პერსონალიდან კონვეიერზე მხოლოდ ერთ ოპერაციას ასრულებდა) და მენიუ შემოიფარგლა მხოლოდ გარკვეული სახის კერძებით. იგი სამუშაოდ იღებდა ისეთ ხალხს, რომლებიც უპირატესობას მუშაობის ბრიგადულ ფორმებს ანიჭებდა, თანაც მოსამსახურეებს სამხედრო ყაიდის თეთრი უნიფორმა უნდა ჰქონოდათ. კროკი სამუშაოდ არ იღებდა ქალებს, რადგან თვლიდა, ქალების ყოფნა მამაკაცების გვერდით ხელს შეუშლიდა მუშაობის რიტმს. ქალების დისკრიმინაცია მთელი ათი წლით გრძელდებოდა, სანამ 1968 წელს კროკი იძულებული არ გახდა უარი ეთქვა თავის ჩვეულებაზე, თუმცა, დაუწერელი კანონის მიხედვით, სამუშაოდ მაინც მხოლოდ უშნო, შეუხედავ ქალებს იღებდა.

ზეწარმადობა ფირმის სიკეთეც იყო და სისუსტეც, რადგან ახალი კერძის შემოტანას მენიუში შეიძლება გამოეწვია კონვეიერის წარმადობის შემცირება, ამიტომ მთელი ყურადღება კერძების ხარისხის გაუმჯობესებას ეთმობოდა. მაგალითად, ფირმამ მთელი სამი მილიონი დოლარი დახარჯა კარტოფილის შეწვის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად, მაგრამ კლიენტებმა მაინც დაიწყეს ჩივილი, რომ მათ მობეზრდათ ყოველდღიურად ერთი და იგივე საჭმელების ჭამა. მაკდონალდსის შემოსავალმა კლება იწყო. თვით ფრანჩაიზერებიც კი უკვე სახალხოდ გამოთქვამდნენ თავიანთ უკმაყოფილებას ასორტიმენტის სიმწირის გამო.

კროკმა რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა. ასორტიმენტში შეიტანა ახალი დასახელების კერძები, მაგრამ, სამწუხაროდ, კროკს კულინარის ტალანტი არ გააჩნდა. ამიტომ ყველა მისი სიახლე ჩაფლავდა. მაგალითად, 50-იანი წლების ბოლოს, მან მენიუში სადესერტო კერძები შეიტანა, შოკოლადის ნამცხვარი და ფენოვანი ნაზუქი მარწყვით, მაგრამ სიახლეს წარმატება არ ჰქონია. მაშინ მან მენიუ განაახლა კექსით, რომლის თითოეული ნაჭერი 15 ცენტად იყიდებოდა. სამწუხაროდ, კექსის მსურველებიც არ აღმოჩნდნენ.

კროკი მიხვდა, რომ მთავარი დესერტი არაა და მთელი ათი წლის განმავლობაში ძალიან ბრაზდებოდა, როცა ვინმეს მასთან მენიუში ახალი კერძის შემოტანაზე წამოცდებოდა სიტყვა. მაგრამ ერთ-ერთი ფრანჩაიზერი მაინც არ შეუშინდა კროკის რისხვას და მაკდონალდსის მენიუში შეიტანა კერძი, რომელიც შემდეგში ფირმის ყველაზე პოპულარული ნაწარმი გახდა.

ჯიმ დელიგატი, კროკის ერთ-ერთი პირველი ფრანჩაიზერი იყო. მას ათზე მეტი სავაჭრო წერტილი ეკუთვნოდა ქალაქ პიტსბურგში და მის შემოგარენში. როცა ჯიმმა შეამჩნია, რომ რესტორანში კლიენტების რიცხვმა შემცირება დაიწყო, ერთ-ერთმა პირველმა დააყენა საკითხი ფირმის ხელმძღვანელობის წინაშე მენიუს გაფართოების შესახებ.

მან წამოაყენა წინადადება ფირმის მენიუში ორსართულიანი ჰამბურგერის შეტანის შესახებ, სპეციალური სოუსით და სხვადასხვა დამატებებით. ეს იდეა ჯიმმა უსირცხვილოდ მოპარა რესტორნების სისტემა "ბიგ ბოი"-ს და კროკს არ მოეშვა მანამ, სანამ არ მიიღო თანხმობა ექსპერიმენტის ჩატარებაზე. 1967 წ. "მაკდონალდსის" რესტორნებში გამოჩნდა საცდელი ნიმუში იმისა, რასაც შემდეგ "დიდი მაკი" ეწოდა. კროკმა უფლება მისცა ახალი ჰამბურგერებით ვაჭრობისა, თანაც მხოლოდ ქალაქის ცენტრიდან მოშორებულ ერთ კაფეში და ისიც იმ პირობით, რომ დახლზე, "ბიგ მაკის" გვერდით, ტრადიციული კერძები იქნებოდა განლაგებული. ჩვეულებრივი ფუნთუშა "ბიგ მაკის" დასამზადებლად პატარა იყო, ამიტომ დელიგატიმ ჩვეულებრივზე დიდი ფუნთუშების გამოცხობა სცადა. იგი შემდგომში ამ ფუნთუშებს სამ ნაწილად ჭრიდა.

ორიოდე თვეც არ გასულა, რომ "ბიგ მაკმა" გაყიდული საქონლის ოდენობა რესტორანში 12%-ით ასწია, ამიტომ ახალი ჰამბურგერების გაყიდვა ქალაქის სხვა რესტორნებშიც დაიწყეს. ახალი კერძი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომ სხვა ფრანჩაიზერებმაც მოითხოვეს "ბიგ მაკით" ვაჭრობის უფლება. "მაკდონალდსმა" გამოსცადა "ბიგ მაკი" სავაჭრო ქსელში და დარწმუნდა, რომ გაყიდული საქონელის რაოდენობა 10%-ით გაიზარდა. 1968 წელს "ბიგ მაკი" საერთო ნაციონალურ დონეზე გავიდა. "მაკდონალდსის" მიერ შექმნილ სარეკლამო პროგრამაში ჩამოთვლილი იყო "ბიგ მაკის" შემადგენლობა. მაქს კუპერმა, ყოფილმა ჟურნალისტმა და ამჟამად ფირმის რამდენიმე ფრანჩაიზერული წერტილის მფლობელმა გადაწყვიტა, რომ ჩაფიქრებული რეკლამა საკმაოდ მოსაწყენია და უსარგებლო. მან საქმე თავის ხელში აიღო და კუთვნილ კაფეებში გამოაცხადა შეჯიბრება იმათ შორის, ვინც ოთხი წამის განმავლობაში შეძლებდა "ბიგ მაკის" ყველა ინგრედიენტის ჩამოთვლას. მოგებული უფასოდ იღებდა ერთ ჰამბურგერს. ბირმინჰემის სარეკლამო სააგენტომ ჩაიწერა კლიენტების მცდელობა წარმოეთქვათ ფრაზა "ორი ნაჭერი ხორცი, სპეციალური სოუსი, ყველი, ხახვი..." და ეს ყველაფერი ეთერში გაუშვა.

გადაცემამ ქალაქის მაცხოვრებლების აღფრთოვანება გამოიწვია. რამდენიმე კვირის განმავლობაში რადიოსადგურები გადასცემდნენ "ბიგ მაკის" დეკლამაციის მცდელობებს. სკოლის მოსწავლეები უბრალოდ "ჭკუიდან შეიშალნენ" და მთელი დღის განმავლობაში "ბიგ მაკის" რეცეპტს იზეპირებდნენ. "ბიგ მაკის" გაყიდვამ 25%-ით აიწია. მხოლოდ ამის შემდეგ მიაქცია ფირმა "მაკდონალდსის" მარკეტინგული განყოფილების ხელმძღვანელობამ სერიოზული ყურადღება "ბიგ მაკს" და შეიმუშავა მუშაობის ახალი სტრატეგია.

"ბიგ მაკის" წარმატებამ ფრანჩაიზერების მფლობელებს გზა გაუხსნა თავიანთ რესტორნებში სიახლეების დასანერგად. 1969 წელს ლიტონ კოჰრანმა ქალაქ ნოკსკილიდან უფლება მიიღო ვაშლის ნამცხვრის გაყიდვაზე თავის რესტორნებში. ექსპერიმენტმა გაამართლა და ვაშლის ნამცხვარიც ასევე ამერიკის ერთ-ერთი ნაციონალურ სიმბოლოდ იქცა.

მეორე ფრანჩეიზერმა შენიშნა, რომ ჩვეულებრივ კლიენტებს არ სურთ ერთბაშად ორი ულუფა შემწვარი ხორცის შეკვეთა, მაგრამ თითქმის ყველა თანახმაა იყიდოს კერძის ორმაგი ულუფა, თუ ის ერთმაგში არის გაერთიანებული. ასე წარმოიშვა პოპულარული კერძი, რომლის დამზადებაზე 60% მეტი პროდუქცია იხარჯება, ხოლო მისი ფასი 75%-ით მეტია ჩვეულებრივზე.

ასე და ამგვარად, "დიდი მაკის" წარმატებამ ბიძგი მისცა "მაკდონალდსის" რესტორნებს გაეფართოებინათ თავიანთი მენიუ და ამავე დროს შეენარჩუნებინათ თავიანთი წარმატების ძირითადი პრინციპი, მომსახურების სისწრაფე.

დემეტრე ხალვაში

ოქრო გაიაფდა

გასული კვირის განმავლობაში ამ ლითონის ფასი შედარებით დაეცა და 368 დოლარი შეადგინა. დილერები თვლიან, რომ დოლარის კურსის კოტირების შემცირებამ გერმანული მარკისა და იაპონური იენის მიმართ გამოიწვია ოქროს ღირებულების შედარებითი სტაბილურობა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ექსპორტის გაუმჯობესების მიზნით აშშ-ს ხელისუფლება შეეცდება შეაჩეროს მსოფლიო ვალუტების მიმართ დოლარის კურსის დაცემა.

სპილენძის ღირებულება იკლებს

ლონდონის ლითონების ბირჟაზე სამთვიანი ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით სპილენძის ფასი 2150 დოლარამდე დაეცა. დილერები ვარაუდობდნენ, რომ ბირჟის საწყობებში ამ ლითონის მარაგის ზრდა უთუოდ გამოიწვევდა მომხდარ ფაქტს, თუმცა, სპეციალისტების აზრით, წლის ბოლომდე სპილენძზე მოთხოვნა მაინც მაღალი იქნება, რაც მისი ღირებულების კვლავ გაზრდას გამოიწვევს.

ალუმინის ფასი სტაბილურია

მისი ფასი ლონდონის ბირჟაზე თითქმის 30 პუნქტით დაეცა და 1508 დოლარი შეადგინა.

დილერები თვლიან, რომ მომავალშიც არაა მოსალოდნელი ამ ლითონის ღირებულების მკვეთრი ცვალებადობა, რადგან გაზაფხულზე მოთხოვნა მაინც არ გაიზრდება და კვლავინდებურად დაბალი დარჩება.

ნიკელის ფასი კვლავ დაბალია

ლითონების ბირჟაზე გასულ პერიოდის განმავლობაში მისმა ღირებულებამ თითქმის 150 პუნქტით დაიწია და 6790 დოლარი შეადგინა. ეს უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

დილერები ვარაუდობენ, ამ ლითონზე მოთხოვნის შემცირება მაღე იმ დონემდე შემცირდება, რომ უახლოეს ორ კვირაში იგი 6600 დოლარამდე გაიაფდება.

ნავთობის ფასი უცვლელია

ნავთობის საერთაშორისო ბირჟაზე ნავთობის ღირებულებამ 23,3 დოლარი შეადგინა. დილერების აზრით, ნავთობის ფასი კიდევ უფრო დაეცემა, თუ ერაყიდან ევროპაში განახლდება ნავთობის მოწოდება. ვარაუდობენ, რომ მისი მოცულობა დღე-ღამეში 550 ათას ბარელს შეადგენს.

შაქრის ღირებულება სტაბილურია

ფიუჩერსული კონტრაქტების მიხედვით, თეთრი შაქრის ფასმა 297 დოლარი შეადგინა.

საერთაშორისო შაქრის ორგანიზაციის შეფასებით, მომავალ წელს შაქრის მოსავალი დაგეგმილს 3 მლნ დოლარით გადააჭარბებს. დაახლოებით მსგავსი სიტუაცია შეიქმნა მსოფლიოს ბაზარზე 1993 წელს, როცა უხვმოსავლიანობამ კინაღამ მასობრივად გააკოტრა შაქრის მწარმოებელი კომპანიები.

ვალუტის ოფიციალური კურსები

(დსთ და ბალტიისპირეთი)

რესპუბლიკა (ვალუტა)	1$	ცვლილება	რუს.რუბ. 1000	ცვლილება
აზერბაიჯანი (მანათი)	4126.0	-21	750	0
სომხეთი (დრამი)	438.77	+4.41	78.95	+0.5
საქართველო (ლარი)	1.28	0	0.22	-0.005
ბელორუსია (ბელ.რუბ.)	15450.0	+150	2790	+20
ყაზახეთი (თენგე)	72.5	+1	13.6	0
ყირგიზეთი (სომი)	16.8	-0.05	3.044	-0.0152
ლატვია (ლატი)	0.557	+0.003	0.1008	+0.0005
ლიტვა (ლიტი)	4.0	0	0.7241	-0.001
მოლდოვა (ლეი)	4.6767	0	0.8446	-0.0014
რუსეთი (რუბლი)	5525.0	+10	-	-
ტაჯიკეთი (ტაჯ.რუბ.)	312.0	0	54.6	-1.4
თურქმენეთი (მანათი)	4055.0	+5	733.94	+3.58
უკრაინა (გრივნა)	1.885	+0.005	0.341	+0.001
უზბეკეთი (სუმი)	51.05	+0.05	9.24	-0.02
ესტონეთი (კრონა)	12.3452	-0.1764	-	-

მყარი ვალუტის კურსები

	აშშ	ინგლ.	შვეიც.	100 იაპ.	1000 იტალ	გერმ.	ფრანგ.
ფრანგ. ფრანკი	5.2297	8.6620	3.9567	4.6291	3.4251	3.3847	-
გერმან. მარკა	1.5451	2.5591	1.1690	1.3676	1.0119	-	0.2954
იტალიური ლირა	1526.9	2529.0	1155.2	1351.5	-	988.22	291.96
იაპონური იენა	112.97	187.12	85.474	-	73.990	73.118	21.602
შვეიცარ. ფრანკი	1.3218	2.1892	-	1.1699	0.8656	0.8554	0.2527
ინგლისური გირვ.	0.6037	-	0.4567	0.5344	0.3954	0.3907	0.1154
აშშ დოლარი	-	1.6563	0.7565	0.8851	0.6549	0.6472	0.1912

ძირითადი საბირჟო საქონლის ფასები მსოფლიო ბაზარზე

ოქრო ($ უნც)	368.25	ნავთობი ($ ბარელი)	23.03
ალუმინი ($ ტ)	1508.5	ხორბალი	
სპილენძი ($ ტ)	2130	(ინგ.გირვ. ტ)	94.00
ნიკელი ($ ტ)	6790	თეთრი შაქარი ($ ტ)	297.00

ბულგარეთის ნაკრები კრიზისს განიცდის

გაჩნდა საშიშროება, რომ ქვეყნის დღევანდელი ნაკრები შეწყვეტს არსებობას. საქმე ის არის, რომ ლიმასოლში კვიპროსის ნაკრებთან შეხვედრის წინ (სურათზე ამ მატჩის მომენტია აღბეჭდილი. იგი ბულგარელებმა მოიგეს 3:1) გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმა მიხაილოვმა, ივანოვმა, ბალაკოვმა, კოსტანდინოვმა წერილით მიმართეს ქვეყნის ფეხბურთის კავშირს, სადაც განაცხადეს, რომ ხრისტო სტოიჩკოვთან და ლიუბოსლავ პენევთან ერთად უარს იტყვიან ნაკრებში გამოსვლაზე. მიზეზი სერიოზულია. ფეხბურთელები მოითხოვენ, რომ კავშირის თავმჯდომარე ივან სლავკოვი არ აირჩიონ მეორე ვადით. არადა სლავკოვს თავმჯდომარის პოსტის შენარჩუნების რეალური შანსი აქვს. იგი დიდად გავლენიანი პირია საფეხბურთო წრეებში და რეიტინგით საგნობრივად უსწრებს თავის კონკურენტებს - ნაკრების ყოფილ მოთამაშეს დიმიტრი ლარგოვს და ბანკირ ხრისტო დანევს. ყველაფერი დღეს გაირკვევა. თავმჯდომარის არჩევნები სწორედ დღეისათვის - 20 დეკემბრისათვის არის დანიშნული.

არჩევანი — მე, არადანი — შენ

რონალდოს ხელფასი გაუორმაგეს

"ბარსელონას" კლუბმა თავისი 20 წლის ბრაზილიელ ფეხბურთელს რონალდოს ხელფასი გაუორმაგა. ახლა მისი წლიური ანაგღაურება 500 მილიონ პესეტს შეადგენს. თანხა ძალიან დიდი ჩანს, მაგრამ თუ დოლარებში გადავიყვანთ, 3,85 მილიონს მივიღებთ. სამაგიეროდ გაიზარდა ფეხბურთელის საგრანსფერო ღირებულება. თუ რომელიმე გუნდი "ბარსელონასთან" კონტრაქტის დამთავრებამდე მოისურვებს რონალდოს ყიდვას, ამაში 10 მილიარდი პესეტი ანუ 76,9 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს. ეს თანხა თითქმის ოთხჯერ აღემატება იმას, რაც "ბარსელონამ" ჰოლანდიის "ეინდჰოვენს" გადაუხადა რონალდოს შესაძენად. ესპანური გაზეთების ცნობით, რონალდო კატალონიურ კლუბთან "მიჯაჭვულია" 2006 წლამდე. "ბარსელონას" მესვეურები საგულდაგულოდ მაღავენ რონალდოსთან გაფორმებული კონტრაქტის დეტალებს.

პრიზი - 100 ათასი დოლარი

მიმდინარე სეზონიდან "იზვესტიის" პრიზი" ევროპის ჩემპიონატის მეორე ეტაპად ითვლება. მასში მონაწილეობენ რუსეთის, შვეიცის, ფინეთის და ჩეხეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. ნოემბერში ჩატარებული პირველი სერიის "კარიალის თასის" გათამაშების შემდეგ დაწინაურდნენ ფინელები. მათ ხუთი ქულა აქვთ. მეოთხე ადგილზე ოთხი ქულით შვედები არიან. რუსებს ორი ქულა აქვთ, ჩეხებს - ერთი. ტურნირი კი მომავალ წელს "გლობენის თასის" გათამაშებით დამთავრდება.

სხვათაშორის, უკვე გარკვეულია სერიის საპრიზო ფონდი. სამი ეტაპის ჯამში გამარჯვებული გუნდი მიიღებს 100 ათას დოლარს, მეორე პრიზიორი - 75 ათასს, მესამე - 25 ათასს. ასე რომ, ევროტურნირში მონაწილეებს წმინდა სპორტულ ჟინთან ერთად კარგი ფინანსური ინტერესებიც გაუჩნდათ.

სასამართლოს დღეც დაინიშნა

1997 წლის 20 თებერვალს გაიმართება სასამართლოს პირველი სხდომა, რომელიც განიხილავს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ბრაზილიელი აირტონ სენას ტრაგიკულად დაღუპვის მიზეზებს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით ("მესაკუთრე" №8, 1996 წელი), ავტომრბოლის დაღუპვაში ბრალი ედება რამდენიმე კაცს, მათ შორის "უილიამსის" გუნდის შეფს ფრანკ უილიამსს.

ციტკო - ყველაზე ძვირადღირებული პოლონელი ფეხბურთელია

პოლონეთის ჩემპიონმა "ვიძევმა" გამოაცხადა, რომ გადაწყვიტა გაყიდოს თავისი საუკეთესო თავდამსხმელი მარეკ ციტკო, თანაც საკმაოდ ძვირად - 6 მილიონ დოლარად. თავდამსხმელისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს ინგლისის "ლიდსმა" და იტალიის "ინტერმა". საბოლოოდ ციტკოს ბედი ახალი წლისთვის გადაწყდება.

ფუტრემ წასვლა გადაწყვიტა

პორტუგალიელმა პაულუ ფუტრემ ამას წინათ ჟურნალისტებს აცნობა, რომ სურს 30 წლის ასაკში დაასრულოს ფეხბურთელის კარიერა. მიზეზად მან დაასახელა მუხლის დაზიანება, რის გამოც სამჯერ მოუხდა ოპერაციის გაკეთება.

ამჟამად ინგლისის "ვესტ ჰემის" კუთვნილი ფუტრე ადრე ლისაბონის "სპორტინგში", "პორტუში", მადრიდის "ატლეტიკოში", მარსელის "ოლიმპიკში", "მილანში", "რეჯანაში", "ბენფიკაში" თამაშობდა.

ნაკრებში ფუტრემ 41 მატჩი ითამაშა და მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის რეალური შანსი ჰქონდა.

ტაისონის მწვრთნელობაზე უარი თქვა

ცნობილმა მწვრთნელმა ემანუელ სტიუარდმა, რომელიც ინგლისელ მძიმეწონოსან მოკრივეს ლენოქს ლუისს ავარჯიშებს, უარი თქვა მაიკლ ტაისონის მწვრთნელობაზე. სტიუარდის განცხადებით, იგი ვერც ტაისონთან შესაძლო კონტრაქტის ფინანსურმა პირობებმა მოხიბლა.

ეტყობა, დამხობილი მეფე უკვე საინტერესო აღარ არის.

კლინსმანს ინგლისში ეჰატიშებიან

გერმანიის ნაკრები გუნდის კაპიტანს იურგენ კლინსმანს კონტრაქტს სთავაზობენ „ევერტონი“, „ბლეკბერნი“, „ვესტ ჰემი“ და „ნოტინგემ ფორესტი“. ამ უკანასკნელმა ყოველკვირეული ჰონორარიც დაასახელა - 76800 მარკა. „ბავარიის“ მწვრთნელის ტრაპატონის მუშაობის მეთოდებით უკმაყოფილო სპორტსმენი არჩევანს წლის ბოლომდე გააკეთებს.

ცნობილი ფეხბურთელი ავტომრბოლელობაზე ოცნებობს

ინგლისის საფეხბურთო კლუბის "ნიუკასლის" ფრანგმა ფეხბურთელმა დევიდ ჟინოლამ საავტომობილო კომპანია "რენოს" სარეკლამო ტელეგადაცემაში განაცხადა, რომ სურვილი აქვს კვალიფიკაცია გამოიცვალოს და პროფესიონალი ავტომრბოლი გახდეს. მისი თქმით, იგი უახლოეს დროში აპირებს ერთ-ერთ რბოლაში მონაწილეობას, მაგრამ, ეტყობა, ფეხბურთელის ოცნებას ახლო მომავალში ახდენა არ უწერია. მას ხელს უშლის ის, რომ ფეხბურთელი დაზღვეულია.

"ნიუკასლის" მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა ეს ცნობა დაადასტურა. "სანამ ჟინოლა გუნდში თამაშობს, - განაცხადა კიგანმა, - იგი სარბოლი მანქანის საჭეს ვერ მიუჯდება. ჩვენ მას ადრე უარი ვუთხარით ასეთი თხოვნის დაკმაყოფილებაზე და ვერც ახლა დავყაბულდებით მას. როცა საფეხბურთო კარიერას დაამთავრებს, მერე აკეთოს ის, რაც მოესურვება. ეს მისი პირადი საქმე იქნება". კიგანის თქმით, ფეხბურთელის ეს ახირება სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ, რადგან ეს შეიძლება მორიგი სარეკლამო ხრიკი იყოს.

კიგანს გულთან ახლოს არც ის მიაქვს, რომ თითქოს ფეხბურთელს უჭირდეს ინგლისში ცხოვრება და საფრანგეთში დარჩენილი ახლობლები ენატრებოდეს.

"პროფესიონალი სპორტსმენისათვის ასეთი გრძნობები დამაბრკოლებელი ფაქტორი არ უნდა იყოს" - თქვა კიგანი.

კროსვორდი



თარაზულად: 1. ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკა. 5. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც შედის ყოფილ სსრკ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში. 8. ნეირონის კონტაქტის ადგილი. 9. მოსუფთავებული და დატკეპნილი მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას კევრით ლეწავდნენ. 10. ავსტრიელი ფიზიოლოგი და ფარმაკოლოგი. 11. გეოგრაფიული ლანდშაფტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გარკვეულწილად აერთიანებს ფლორასა და ფაუნას და ქმნის მათ შორის ურთიერთკავშირს. 12. ყველაზე კაშკაშა პლანეტა, რომელიც დილაობით მოჩანს აღმოსავლეთით, ხოლო საღამოობით - დასავლეთით - ვენერა. 13. ციცხლის ენა. 16. ქალაქი უკრაინაში, ყირიმის ოლქში. 18. წვრილი ხურდა ფული ინდოეთსა და პაკისტანში. 20. ელექტრული მანქანის მბრუნავი ნაწილი. 22. რუსი მომღერალი. 23. ინდოელი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, რელიგიური რეფორმატორი, საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწე. 24. ნაჯერი ნახშირწყალბადი. 25. ქართული ლექსთწყობის ტერმინი, სიტყვების ან მათი ნაწილების საგანგებო მიჯრით წარმოქმნილი სხვა სიტყვა. 26. უფასო, უსასყიდლო. 29. ისტორიული პროვინცია, შემდეგ ძველი ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი. 35. გამოსახულების ზომის გაფიდების ან შემცირების გამომხატველი საგანი. 37. მეცნიერება საარტილერიო ჭურვების, ტყვიების, ნაღმების და მისთანების შესახებ. 38. სპილენძის მონეტა ძველ საბერძნეთში. 39. ორგანულ ნაერთთა კლასის მინერალი, წარმოადგენს მეტწილად პალეოგენური პერიოდის წიწვოვან მცენარეთა განმარხებულ ფისს. 40. ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში. 41. მონარქიულ სახელმწიფოთა გაერთიანება ერთ-ერთი სახელმწიფოს მეთაურობით. 42. ამხანაგობაში, სააქციო საზოგადოებაში მონაწილეობის წილი. 43. მოგრძო რბილსხეულიანი უძვლო ცხოველი. 44. შინაური მსხვილფეხა ცხოველი, რომელსაც აბამენ უღელში. 48. აფხაზური ცხარე საწებელი; აკეთებენ დანაყილი წიწაკითა და სხვადასხვა სანელებლებით. 49. მოსწავლეთა ჯგუფი (კონსერვატორიაში, სამხატვრო სასწავლებელში), რომელსაც ხელმძღვანელობს მიმაგრებული მედაგოგი. 50. პურეულიდან, ჭაჭიდან, ხილიდან გამოხდილი ალკოჰოლიანი სასმელი.

შვეულად: 1. ფრანგი ეკონომისტი. 2. იაპონური არყის დასახელება. 3. ისეთი კავშირი წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთს მეორის გამოწვევა შეუძლია. 4. რემბრანტის ცოლის სახელი. 5. მოხეტიალე ღვთისმლოცველი. 6. ქვეყნის ნაწილი. 7. რასაც დიდი ფიქრი, შრომა, ძალ-ღონე არ სჭირდება; იოლი. 14. სატანა, მაცდური. 15. კინემატიკური სიბლანტის ერთეული. 17. სიგრძის საზომი ერთეული ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. 18. ქალაქი ცენტრალურ იტალიაში. 19. ნარნარად, მდორედ ფრენა. 21. მაგარი, ბოლოში წაწვეტებული ძვლოვანი წანაზარდი ზოგი ცხოველის თავის ქალაზე. 27. მანძილი ორ წერტილს შორის, რომელთა ფარგლებშიც მოძრაობს რაიმე სხეული (მაგ. ქანქარა). 28. დროებითი იზოლაცია იმ პირთა, რომლებმაც გადაიტანეს გადამდები სნეულება ან რომლებიც იმყოფებოდნენ ასეთი სნეულებით დაავადებულთან. 30. სახელმწიფო დაწესებულებაში შეტანილი მატერიალური ფასეულობა, რომელიც განსაზღვრული პირობების დადგომის შემდეგ უკან უნდა დაბრუნდეს. 31. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი. 32. ჰომეროსის პოემა. 33. ერთ-ერთი წინასწარმეტყველი. 34. ფიჭვის (ან ნაძვის) ანახეთქის ფისიანი ნაჭერი; სანთელივით იწვის (ძველად ხმარობდნენ გასაშუქებლად). 35. ვისიმე ნება-სურვილის უსტყვოდ აღმსრულებელი, მონა-მორჩილი; მლიქვნელი, პირფერი. 36. თბილისის ციხის ჭალის გვიანდელი სახელწოდება. 45. სპეციალურად გაკეთებული ორმო სხვადასხვა ტექნიკური საჭიროებისათვის. 46. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე. 47. მზის ღვთაება ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. გერინგი; 5. სარკომა; 11. ბეკა; 12. ტაქტიკა; 13. ნარი; 14. ბეი; 15. ფეი; 16. დირე; 17. ეტიკეტი; 20. აული; 22. ჰალეონტოლოგია; 28. ობი; 29. ლუი; 30. იანი; 31. ენა; 32. ურნა; 33.ემუ; 36. მკა; 37. იბერლიანთკარი; 42. ხოჭო; 43. ლემონიე; 47. მური; 48. სიო; 49. რეა; 50. ინგა; 51. დიხაშრო; 52. რაბი; 53. ლეფილიე; 54. სიცილია.

შვეულად: 2. ელეგია; 3. იზაბელა; 4. მოტიე; 6. ალაფი; 7. კონიაკი; 8. მარილი; 9. აქტი; 10. ციხე; 18. ტროა; 19. ტილი; 21. კორეა; 22. პიაუი; 23. ლანგე; 24. ტონგა; 25. გორდა; 26. ალამი; 27. გირაო; 34. ალიე; 35. ათაი; 38. მგოსანი; 39. რემარკი; 40. დორნიე; 41. კრებსი; 43. ლოდსი; 44. მუხა; 45. ნუში; 46. ერისი.

გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.
„მესაკუთრე“ რეგისტრირებულია თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში. სარეგისტრაციო ნომერია 5/4-909.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ავტორებს ვთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.96წ.

მესაკუთრე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი:
მ. ზანდუკელის ქ. №1
ტელ: 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა
ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლოში“ მ.კოსტავას ქ. №14

სარედაქციო
კოლეგია